619/2
1954



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა

№ 11 ნოემბერი 1954

# ქართული მარმარილო ვარშავის კულტურის სახლისათვის



ვარშავის სტალინის სახელობის კულტურისა და მეცნიერების სასახლე.

ვარშავის ცენტრში აღიმართა უზარმაზარი შენობა, რომელსაც პოლონელი ხალხი „მეგობრობის სასახლეს" უწოდებს. მისი სიმაღლე ორასოცდაათ მეტრამდე აღწევს, იგი ამაყად დაჰყურებს პოლონეთის დედაქალაქს.

სტალინის სახელობის კულტურისა და მეცნიერების ეს სასახლე აგებულია საბჭოთა კავშირის მიერ. იგი ჩვენი ხალხის გულითადი საჩუქარია პოლონელი ხალხისათვის. ეს საჩუქარი ორმაგად საგულისხმო და ძვირფასია: იგი საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებისა და გულითადი მეგობრობის გამოხატულებაა. გარდა ამისა, ეს მშენებლობა პოლონელი არქიტექტორების, ტექნიკოსებისა და მუშებისათვის მრავალსართულიანი სახლების მშენებლობის უდიდესი სკოლაა.

სასახლეში მოთავსებული იქნება პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია თავისი სამეცნიერო დაწესებულებებით. შენობის ერთი მხარე განკუთვნილია ახალგაზრდობისათვის, მეორე მხარეს კი მოთავსდება სამრეწველო მუზეუმი. კონგრესების დარბაზი დაიტევს 3800 კაცს. თეატრები, საცურაო აუზები მოთავსებული იქნება შენობის ცენტრალურ, ამაღლებულ ნაწილში და ერთდროულად მიიღებს 12.000 კაცს.

მეგობრობის სასახლე გაიხსნება მომავალი წლის 22 ივლისს — პოლონელი ხალხის ნაციონალური დღესასწაულის დღეს.

ამ დიდი სასახლის მშენებლობაში მონაწილეობას იღებს ჩვენი რესპუბლიკაც. ჩვენი მარმარილო განთქმულია თავისი დეკორაციულობით და მას ფართოდ იყენებენ საბჭოთა კავშირის ყველა თვალსაჩინო მშენებლობაზე. სტალინის სახელობის ვარშავის კულტურისა და მეცნიერების სასახლის მოპირკეთებისათვისაც გამოყენებული იქნება ქართული მარმარილო. თბილისის მარმარილოს დამამუშავებელმა ქარხანამ მიიღო შეკვეთა აღნიშნული მშენებლობის მოსაპირკეთებლად მარმარილოს დაფების დამზადებაზე. ქარხნის კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობითა და აღფრთოვანებით ასრულებს ამ საპატიო შეკვეთას. მარტო ივლისსა და აგვისტოში ვარშავაში უკვე გაგზავნილ იქნა 1500 კვადრატული მეტრი ქართული მარმარილო — მოპოვებული ლოპოტისა და სვანეთის საბადოებიდან.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა

მარმარილოს ლოდების ამორჩევა დასახერხად. მარცხნიდან მარჯვნივ: საამქროების უფროსები ი. ავსაჯანიშვილი და ი. გოქსაძე.



ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორი ი. ყუფუნია და ბლმრიცხველი ნ. ჩერკაშინა ამზადებენ მარმარილოს მორიგ პარტიას ვარშავაში გასაგზავნად.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 11 (40) ნოემბერი 1954 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი“

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

5708



პროექტი ვ. ი. ლენინის ძეგლისა, რომელიც აიგება თბილისში.

# ვ. ი. ლენინის ძეგლი თბილისში

მიმდინარე წელს თბილისში საფუძველი ჩაეყარა ვ. ი. ლენინის ძეგლს ლენინის სახელობის მოედანზე. მოკლე ხანში ქ. თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ კვანძს დაამშვენებს ვ. ი. ლენინის მონუმენტური ძეგლი. ლენინის ფიგურის ავტორია სკულპტორი ვ. თოფურიძე, ხოლო არქიტექტურული ნაწილის ავტორები არიან არქიტექტორები: გ. მელქაძე, შ. ყავლაშვილი, კ. ჩხეიძე და გ. ხეჩუმოვი.

ძეგლის სკულპტურულ და არქიტექტურულ გადაწყვეტას წინ უძღოდა ლენინის მოედნის გადაგეგმარების პროექტის დამუშავება. ქალაქთმშენებლობის ამ მაგისტრალური კვანძის საბოლოო სახე ჯერ მთლიანად გარკვეული არ არის, მაგრამ ლენინის ძეგლის დადგმის ადგილი უკვე განსაზღვრულია და მოცულობითი აღნაგობა და მასშტაბი გადაწყვეტილია.

ვ. ი. ლენინის ფიგურის კომპოზიცია წარმოადგენს კომუნიზმისაკენ წინმსვლელობის იდეის გამოსახულებას. ფიგურა გამოხატავს ვ. ი. ლენინს მოძრაობაში, მაღლა აწვდილი ხელით, იმ მომენტში, როცა ბელადი სიტყვით მიმართავს ხალხს. პოსტამენტის არქიტექტურაც მონუმენტურ ფორმებშია გადაწყვეტილი, მისი ვერტიკალური კომპოზიციის ქვედა ნაწილში წინა ფასადის მხრით ჩართულია სკულპტურული გამოსახულება გორელიეფის სახით, რომელიც გამოსახავს საბჭოთა სახელმწიფოს უძლეველობას. პოსტამენტის გვერდით, ფასადის სიბრტყეზე, გაშლილი დროშების ქვეშ რელიეფური ბრინჯაოს ასოებით აღბეჭდილია ბელადის უკვდავების გამომხატველი ტექსტი.

პოსტამენტის სიმაღლე 12 მეტრია, ფიგურის სიმაღლე—7. სულ ძეგლის სიმაღლე 19 მეტრია, მისი პოსტამენტი შემოსილი იქნება მოწითალო ფერის პოლირებული გრანიტით, ხოლო ფიგურა ჩამოისხმება ბრინჯაოსაგან.

ძეგლის ირგვლივ მოედანი [ფართით 720 კვ. მეტრი] მოფენილი იქნება გრანიტის დიდი ფილებით.

ლენინის მოედნის საბოლოო რეკონსტრუქციის შემდეგ ლენინის ძეგლის კომპოზიცია იქნება ძირითადი არქიტექტურული დომინანტი ცენტრალური მოედნისა.

**მიხეილ ლორთქიფანიძე,**
**საქ. საბჭოთა არქიტექტორების კავშირის გამგეობის მდივანი.**



# 7 ნოემბერი თბილისში

თბილისის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXVII წლისთავი.

ფოტოზე — დემონსტრანტთა კოლონები რუსთაველის პროსპექტზე 1954 წლის 7 ნოემბერს.











ფოტო ო. თურქიასი

# შრომის ვეტერანი

**გ. ნიშნიანიძე**

იმ დღეს არავის გაუგონია თოფის ხმა კორძაძეების ქოხიდან, მუჭისოდენა ყვინჩილაც არ დაკლულა ვასოს დაბადების აღსანიშნავად. სიდუხჭირეში გადიოდა წლები. პატარა ვასოს აკვნიდანვე დაჰყვა საწყალი სოფლელი ბიჭის ბედი; ჯერ სკოლის ზედამხედველს ემსახურებოდა, მერე მოჯამაგირედ გააბარეს თავადის ოჯახში. ბოლოს კი მიხეილ კორძაძემ გადაწყვიტა შვილი მჭედლისათვის მიებარებინა ხელობის შესასწავლად.

გავიდა კიდევ ორი წელი. შეგირდს უკვე დამოუკიდებლად შეეძლო მუშაობა. ცოტა ხანს ვასო სამჭედლოში დარჩა, ბოლოს მამის ოჯახში დაბრუნდა.

* * *

შემდეგშიც არავის გაუგონია თოფის ხმა კორძაძეების ქოხიდან, თუმცა მიხეილი ამ დროისათვის უკვე შვიდი შვილის მამა იყო. ოჯახის გამრავლებაში სასიხარულოს ვერაფერს ხედავდა ღარიბი მოჯამაგირე, რადგანაც იცოდა, რომ თუ შვილებს ისეთივე ცხოვრება შეხვდებოდათ, როგორიც მას ჰქონდა, დაბადების დღეს დაიწყევლიდნენ.

მათი ნამდვილი დაბადების დღე ახალი ეპოქის მაუწყებელი თოფის გასროლით აღინიშნა! ოქტომბრის დიადმა რევოლუციამ მსოფლიოს ერთ მეექვსედზე თავისუფლება მოუტანა მშრომელ ხალხს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, შვებით ამოისუნთქა გლეხკაცმა. წელში გაიმართა კორძაძეების ოჯახიც.

19 წლის იქნებოდა ვასო, როცა თბილისში წასვლა გადაწყვიტა. პირველ ხანებში ზაჰესის მშენებლობაზე მოეწყო, მერე თბილისის ტრამვაის პარკის სამჭედლოში დაიწყო მუშაობა. მისი უფროსი ძმაც აქ მუშაობდა ზეინკლად.

მას შემდეგ კუნთმაგარი ჭაბუკი ბედნიერების გრდემლზე სცემს უროს, სჭედს თავის საწარმოო გამარჯვებებსა და უკეთეს მომავალს.

მას უკვე კარგი მჭედლის სახელი ჰქონდა გავარდნილი, როდესაც 26 კომისრის სახელობის თბილისის მანქანათმშენებელ ქარხანაში შესთავაზეს მუშაობა.

— ნახაზებში ერკვევი?... არასოდეს არ გიმუშავნია ქარხანაში? — ჰკითხა ოსტატმა სტანისლავ ბრენიაკოვსკიმ.

ვასომ უარის ნიშნად თავი გააქნია და კეთილი სახის რუსს თვალებში შეხედა, ხომ არ დამიწუნაო.

მაგრამ არა, ეს ოსტატი სხვა კაცი ჩანდა. მან გულღიად გაიღიმა და ვასოც ცოტათი დამშვიდდა. ამ დღეს მჭედლად უნდა მიეღოთ კიდევ ერთი ახალგაზრდა კაცი. ვასომ მისი სახელის გაგებაც ვერ მოასწრო, რომ გვერდში ამოუყენეს და უთხრეს:

— ვნახოთ როგორ დაიჭერთ გამოცდას, ამასთან იმუშავეთ მეუროედო.

ეს არ იყო ჩვეულებრივი გამოცდა, როცა მასწავლებელი სათვალეებიდან მშვიდად გადმოცქერის უცოდინარობით დარცხვენილ მოწაფეს. ღელავდნენ ბიჭები და ეს აშკარად ეტყობოდათ მოძრაობაში. ტანში სისველე იგრძნო — გაოფლიანდა უროს ამდენი ცემით

— გეყოფათ, — შემოესმათ საქმეში გართულებს. — ქარხანაში მჭედლად მუშაობა ჯერჯერობით გაგიჭირდება, — უთხრეს უცნობს. შემდეგ ვასოს მიუბრუნდნენ: — შენ დარჩი, მეუროედ იმუშავებ, ვეფხვის ძალა გქონია, ძმობილო.

ამ დღიდან ვასილ კორძაძე ქარხნის დიდი ოჯახის წევრი გახდა.

იგი ხან ბრენიაკოვსკისთან მუშაობდა მეუროედ, ხან გამოცდილ მჭედელ ალექსი სუტორიხინთან. ერთ წელიწადში ვასოს შეეძლო სხვისთვის ესწავლებინა ის, რასაც ცოტა ხნის წინ თვითონ სწავლობდა. მუყაითობით გამოიჩინა თავი და მჭედლად დანიშნეს. „გავამართლებ თქვენს იმედს“ — სიტყვა მისცა საამქროს უფროსს და გაამართლა კიდეც. ახალგაზრდა მჭედელმა მოლოდინს გადააჭარბა. 1938 წელს იგი საწარმოო კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაგზავნეს. იყო მოსკოვში, ლენინგრადში, კრამატორსკში. ბევრი რამ ისწავლა რუსი მეგობრებისაგან შრომისმოყვარე ჭაბუკმა და კმაყოფილებით აღსავსე დაბრუნდა ქარხანაში.

ტკბილია ბავშვობის მოგონებაო — ამბობენ, — ყოველთვის როდია ასე... პატარაობასთან ერთად გაჰქრა ის შავბნელი წარსული და ახლა ვასო გაბედულად მიაბიჯებდა დიდი ცხოვრების გზაზე.

1941 წელი. ომის ცეცხლში გაეხვია ჩვენი დიდი სამშობლო. ახლა რამდენიმე კაცის საქმე უნდა გაეკეთებინა ვასოს. ამ ხანებში მისი საწარმოო მაჩვენებელი ხშირად ადიოდა 1.000 პროცენტამდე.

სამამულო ომის პერიოდში განსაკუთრებული შრომითი მამაცობისათვის ვასილ კორძაძე ღირსეულად დააჯილდოეს — მას გულზე ლენინის ორდენი უბრწყინავს. და გულშიაც მტკიცედ აქვს აღბეჭდილი დიდი ლენინის სიტყვები, რომ კომუნიზმი იწყება იქ, სადაც ჩნდება რიგითი მუშების თავდადებული ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ეს არის სწორედ მისი წარმატებების სათავე.

* * *

ტრიბუნისაკენ ნელი ნაბიჯით წავიდა, ცდილობდა დაეფარა მოზღვავებული სიხარული.

— თქვენი ნდობა დიდი ჯილდოა. ვეცდები გავამართლო, — წყნარი ხმით ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვა მან და ხალხით გაჭედილ დარბაზს გადახედა. აგერ... თვალი მოჰკრა მას, ვისაც ეძებდა. სოფლის ქალებში ჩამჯდარიყო, თვალები შესველებოდა. სიხარულსაც

დაიწყო სამუშაო დღე.



ჰქონია ცრემლი—სტიროდა ვასოს დედა სიხარულით.

ბოლო რიგებში, თითქოს საგანგებოდ შეთქმულანო, სულ მოხუცები ჩამომსხდარიყვნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც დაჟინებით შეცქეროდა ტრიბუნაზე მდგომს, დააპირა მეზობლისათვის სიტყვა მიეწვდინა და ტაშის ხმაურში თითქმის ყვირილით გადასძახა: „უყურებ, კირილე, რავა ივარგა მიხეილის ბიჭმა“.

ეს იყო 1947 წელს, როცა სოფელ გუბის, ახლომახლო სოფლების — კუხისა დ ლანირ-ქვიტირის მშრომელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ვასილ კორძაძე.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად მჭედელი კორძაძე მეორეჯერ წულუკიძის რაიონის მშრომელებმა 1950 წელს აირჩიეს.

იგი ღირსეული მსახურია ხალხისა.

* * *

— ვასილ მიხეილის ძევ, მზადაა ნედლეული, ახლა თქვენზეა დამოკიდებული, — უთხრა ბრენიაკოვსკიმ კორძაძეს.

— ვეცდებით, ოსტატო.

— 52 მუხლანა ღერძის დავალიანეპა გვაქვს, შენ და სპიცინმა გაიყავით სამუშაო.

— რაც თავი მახსოვს, ივანე და მე ყოველთვის ვეჯიბრებით ერთმანეთს, ყაბული ვარ. მით უმეტეს, საოქტომბრო ვალდებულება მაქვს აღებული — ყოველთვიური დავალება 400 პროცენტით უნდა გავანაღდო. ამ თვეში კი თუ განსაკუთრებით არ შევუტიეთ, სექტემბრის გეგმა ჩაგვივარდება.

— ნუ გეშინია, ვასო, ამ წლის სექტემბრის გეგმა კი არა, ...გუშინ საგეგმო განყოფილებაში მოვკარი ყური, თურმე 1966 წლის ივლისის ანგარიშში მუშაობ, 1966 წლის... გესმის? — ღიმილით უთხრა ბრენიაკოვსკიმ.

ვასილს ესიამოვნა ოსტატის სიტყვები. მან არც კი იცოდა, ასე თუ გაუსწრო დროს. „ხელცარიელი არ ვხვდები დღესასწაულს, ოქტომბერმა სიცოცხლე მაჩუქა და მეც მას ყოველწლიურად ღირსეულ საჩუქარს ვუძღვნი“...

დღეში ნორმით 2 მუხლანა ღერძის დამუშავებაა გათვალისწინებული. რუსმა და ქართველმა მეგობრებმა ბრწყინვალედ შეასრულეს საამქროს წინაშე მდგომი საპატიო ამოცანა — სამ დღეში 13 დღის დავალება გაანაღდეს — 52 მუხლანა ღერძი გადასცეს მექანიკურად დასამუშავებლად. ეს კიდევ ერთი ბრწყინვალე მიღწევაა ვასილ კორძაძის შრომითი ცხოვრების ისტორიაში. სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მჭედელი მარტო მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის ბრძოლით როდი იფარგლება, იგი ამავე დროს რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. სისტემატურად აუმჯობესებს ცალკეული ოპერაციების წარმოების ტექნოლოგიას, იყენებს საკუთარი კონსტრუქციის სამარჯვებს, ხელსაწყოებს, რითაც დიდად ზრდის შრომის ნაყოფიერებას, და წარმოებას ათასობით მანეთს უზოგავს. ასეთია კომუნისტი მჭედლის გმირული საქმეები.

* * *

ქარხნიდან გამოვიდა და ნელი ნაბიჯით გასწია სახლისაკენ. რა მოკლე მანძილია და რამდენი რამის გახსენება შეიძლება ამ პატარა გზაზე.

ბედნიერია ვასილ კორძაძე. სამი გოგონას მამაა. ქეთინო მესამე კლასში სწავლობს, ლიანა — მერვეში, უფროსი ქალიშვილი მერი კი თბილისის უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტის მე-5 კურსზეა. ლიანამ მუსიკალური სკოლის 7 კლასი დაამთავრა.

ქარხანამ თავის საამაყო მჭედელს სამოთახიანი შესანიშნავი ბინა მისცა.

ფიქრებში გართული კიბეებს აჰყვა. კარებს რომ მიუახლოვდა პატარა ქეთინოს ხმა შემოესმა, პიონერის ფიცს იზეპირებდა:

„ვიძლევი საზეიმო დაპირებას ვიყო ლენინის ანდერძის ერთგული, მტკიცედ ვიბრძოლო ჩვენი კომუნისტური პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის“...

„იქნება ერთგული, რასაკვირველია, იქნება“ — გაიფიქრა ვასილმა და ბედნიერი სახლის კარები შეაღო.

— მამი, ხომ მოხვალ ჩემს კონცერტზე? — ეკითხება პატარა ქეთინო ვასილს.



# შალვა დადიანი



ახოვანი და პირმშვენიერი, მყინვარწვერივით თავლათოვლილი, ყოველდღიურად მიაბიჯებს იგი თავისი ორი ოჯახისაკენ.

ეს ოჯახები თბილისის ერთ-ერთ უბანში, ერთმანეთის გვერდით და პარალელურად მდებარე ქუჩებზეა მოთავსებული.

ერთი მათგანი თეატრალური საზოგადოებაა, მეორე — მწერალთა კავშირი.

ასევე, ერთმანეთის გვერდით და პარალელურად მიემართება შალვა დადიანის ცხოვრების ორი დიდი გზაც — თეატრისა და მწერლობისაკენ... ...და ასევე ყოველდღიურად, დაუღალავად მოაბიჯებს ის ამ ორი გზით, გასული საუკუნიდან დღემდე.

რა შეუმჩნევლად გაფრენილან წლები შემოქმედებით წვასა და ორომტრიალში!

80 წელი გასულა იმ დღიდან, როდესაც მან პირველად იხილა მზე, ვარსკვლავეთი და ყვავილები...

60 წელი გასულა სცენის იმ პირველი ჟრუანტელის განცდიდან, როდესაც მან ქუთაისის თეატრში შესდგა ფეხი...

ათეული წლები გასულა იმ დღიდან, როდესაც მან პირველად აიღო ხელში თავისი პირველი პოეტური შემოქმედების ნაყოფი — პატარა წიგნი „ნაპერწკალი“...

დღეს მისი ქვეყანა სიყვარულის ხარკს უხდის სამშობლოს სიყვარულში ლამისთევით თმაგათეთრებულ საამაყო შვილს — მსახიობს, რეჟისორს, ბელეტრისტს, დრამატურგს და საზოგადო მოღვაწეს შალვა დადიანს.

მის მიერ გამოძერწილი სამასამდე სცენური სახე მოაცილებს ავტორს წარსულის სარკიდან...

მისი პირველი პოეტური ნაპერწკალი კი ფერად შუშხუნად აფეთქებული — ნოველებად და ეტიუდებად, ფსიქოლოგიურ ესკიზებად და მინიატიურებად, მოთხრობებად და რომანებად, დრამებად და კომედიებად აშუქებენ მის ბრწყინვალე სამწერლო გზაზე...

დღეს ერთ მქუხარე ოვაციაში გადაზრდილა ყველა ის ტაში, რომელიც კი წილად ხვდომია მას ქართულ სცენაზე და განა მარტო ქართულ? — დიდი საბჭოთა ოჯახის ყველა სცენაზე, სადაც კი გაიელვა შალვა დადიანის შემოქმედების მადლიანმა ნაპერწკალმა...

დღეს მადლიერი მშობელი ქვეყანა მადლობას უხდის თავის მოყვარულ, გულისხმიერ შვილს. იმას, ვინც გარდასულ შავ-ბნელ დღეებში დანკოსავით ჩირაღდნად აუნთო ხალხს საკუთარი გული...

იმას, ვინც ქართული სცენის სხვა გულშემატკივრებთან ერთად მხრებით მოიტანა ქართული თეატრი ოქტომბრის რევოლუციის კარიბჭემდე...

იმას, ვინც დღესაც, — დაბადებიდან 80 წლის თავზე ისევ ჭაბუკურად იწვის თავის ქვეყნის სიყვარულში.

ქართველ მწერალთა ოჯახი, წრფელი გულით ულოცავს თავის უხუცეს წევრს დღევანდელ იუბილეს და უსურვებს კიდევ დიდი ხნის სიცოცხლეს მთელი ჩვენი ხალხის სასიქადულოდ და საკეთილდღეოდ.

კიდევ დიდხანს იჩქრიალოს
თქვენი აზრის წმინდა წყარომ,
ქართულ სიტყვის ამაგდარო,
ენატკბილო მოუბარო!

კვლავ მღეროდეთ ჩვეულ გზნებით, —
მთელი გულით, მთელი ხმითა,
კვლავ სცვიოდეს ნაპერწკლები,
გულის დიდი ნაპერწკლიდან...

**მარიკა ბარათაშვილი**

25 X 54.

# შემოქმედებითი მარქსიზმის გენიალური ნაშრომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(კარლ მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომის მეორე ქართული გამოცემის გამო)

ს.კ.კ.პ. ც. კ-თან არსებული მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა ქართულ ენაზე თარგმნა მეცნიერული სოციალიზმის მთავარი და ძირითადი თხზულება — კარლ მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომი. „კაპიტალის“ ეს თარგმანი, რომელიც არსებითად ახალია, შესრულებულია მეოთხე გერმანული გამოცემიდან და შედარებულია ახალ რუსულ გამოცემასთან.

პირველი ქართული გამოცემა ამ გენიალური ქმნილებისა შესრულებული იყო 1930 წელს „კაპიტალის“ კაუცკისეული გამოცემიდან. კაუცკი, როგორც ცნობილია, ეწეოდა მარქსის თხზულებათა თავისუფალ „გადამუშავებას“ და ხშირად მათ პირდაპირ ფალსიფიკაციას. ბუნებრივია, თუ რა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა ამ ნაშრომის მეორე ქართული გამოცემის აუცილებლობა.

საზოგადოდ, ქართველი საზოგადოებრიობა „კაპიტალის“ გამოსვლის დღიდანვე („კაპიტალის“ პირველი ტომი გამოვიდა ჰამბურგში 1867 წელს) ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა „ბუმბერაზი მოაზროვნის“ თხზულების მიმართ. პირველად „კაპიტალი“ უცხო ენაზე მხოლოდ რუსულად ითარგმნა (1872 წელს) გ. ლაპოტინისა და ნ. დანიელსონის მიერ. ამ თარგმანებს მარქსი ყოველთვის დიდ შეფასებას აძლევდა. როგორც ცნობილია, დიდი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე 1869 წელს ქართველთაგან პირველი გაეცნო „კაპიტალის“ რუსული თარგმანის კორექტურას.

ახალგაზრდა ი. სტალინი, რომელიც 90-იანი წლების ბოლოს მარქსისტების ჯგუფს ხელმძღვანელობდა, ბუკინისტისაგან მოკლე ხნით შოულობს „კაპიტალის“ ეგზემპლარს და ხელნაწერის სახით ავრცელებს მას. ამ ხელნაწერი ეგზემპლარით ხელმძღვანელობდნენ მაშინ ი. ბ. სტალინი და მისი თანამებრძოლები მუშათა შორის მარქსიზმის იდეების გასავრცელებლად.

მარქსის „კაპიტალი“ ათეული წლების უაღრესად დაძაბული, დიდი მეცნიერული კვლევის შედეგია. „...ყ ო ვ ე ლ ი მომენტი, — წერდა მარქსი, — როცა კი მუშაობა შემეძლო, უნდა გამომეყენებინა იმისათვის, რათა დამემთავრებინა ჩემი ნაწარმოები, რომელსაც მსხვერპლად შევწირე ჯანმრთელობა, ცხოვრების ბედნიერება და ოჯახი“. „კაპიტალზე“ მუშაობა მარქსმა გასული საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო და არ შეუწყვეტია იგი სიცოცხლის უკანასკნელ წლამდე (1883 წ.). იგი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ამუშავებდა თავის მატერიალისტურ თეორიას, ამასთან ძალ-ღონეს უმთავრესად პოლიტიკური ეკონომიის შესწავლას ანდომებდა. ეს მეცნიერება მარქსმა რევოლუციური გახადა თავის თხზულებებში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ და „კაპიტალი“.

კ. მარქსის თხზულების მთავარ მიზანს წარმოადგენდა იმდროინდელი საზოგადოების, ე. ი. კაპიტალისტური, ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების ეკონომიური კანონის აღმოჩენა.

მარქსის დიდი მსოფლიო-ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მან მეცნიერული ანალიზით დაამტკიცა კაპიტალიზმის კრახის გარდუვალობა და კომუნიზმის დამყარების აუცილებლობა. მან ყველა ქვეყნის პროლეტარებს მიუთითა მათ როლზე და ამოცანაზე და მოუწოდა აღმდგარიყვნენ რევოლუციური ბრძოლისათვის კაპიტალიზმის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ მარქსის მოძღვრებაში მთავარია პროლეტარიატის, როგორც სოციალისტური საზოგადოების შემოქმედის, მსოფლიო-ისტორიული როლის გამორკვევა.

* * *

„კაპიტალი“ საერთოდ სამი ტომისგან შედგება, და თვითეულ ტომს თავისი კვლევის მიზანდასახულობა აქვს. პირველი ტომი მიძღვნილია კაპიტალის წარმოების პროცესისადმი, მეორე ტომი — კაპიტალის მიმოქცევის პროცესისადმი და მესამე ტომი — კაპიტალისტური წარმოების ერთობლივი პროცესისადმი. მაგრამ სამივე ტომი, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, კაპიტალისტური წარმოების წესისა და მისი განვითარების ეკონომიური კანონების მოქმედების გამოკვლევას და მის ანალიზს წარმოადგენს.

„კაპიტალის“ პირველი ტომი შვიდი განყოფილებისა და ოცდახუთი თავისაგან შედგება.

როგორც ცნობილია, კაპიტალისტურ საზოგადოებაში გაბატონებულია საქონელთა წარმოება, ამიტომ მარქსიც თავის „კაპიტალს“ საქონლის ანალიზით იწყებს და პირველი ტომის პირველი განყოფილება მიძღვნილია საქონლისა და ფულის საკითხების გამოკვლევისადმი.

საქონლური წარმოების მეცნიერული შესწავლის უდიდესი მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამით მარქსმა გამოამჟღავნა საქონლის ფეტიშური ხასიათი. საქონლის ანალიზით კ. მარქსი ანალიზს უკეთებს მთელ კაპიტალისტურ წარმოებას, ურთიერთობებს, ფარდას ხდის ზედმეტი ღირებულების შექმნის საიდუმლოებას — ხოლო მოძღვრება ზედმეტი ღირებულების შესახებ მარქსის ეკონომიური თეორიის ქვაკუთხედია.

ღირებულების ფორმის განვითარების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელ პოლიტიკურ ეკონომიაში. მარქსმა გამოიკვლია ღირებულების ფორმის განვითარება მისი დაბალი, მარტივი ფორმიდან (უშუალოდ საქონლის გაცვლა საქონელზე) მაღალ, საყოველთაო ეკვივალენტურ ფულად ფორმამდე. ამგვარად, მარქსმა გამოამჟღავნა ფულის ფეტიშური ხასიათის საიდუმლოება. „თანამედროვე საზოგადოება, — წერდა მარქსი, — რომელმაც თავის სიყმაწვილეშივე თმით ამოათრია პლუტოსი (სიმდიდრის ღმერთი) დედამიწის წიაღიდან, მიესალმება ოქროს, როგორც თავისი ყველაზე ძირითადი სასიცოცხლო პრინციპის ბრწყინვალე განსახიერებას“. ფულის ფუნქციების ანალიზის საშუალებით კ. მარქსმა ნათლად დაგვანახვა საქონლური წარმოების წინააღმდეგობა. მარქსისტული დიალექტიკური მატერიალიზმის შესანიშნავი გამოყენებით მან მოგვცა საქონლური წარმოებისა და გაცვლის განვითარების ძირითადი საფეხურების ბრწყინვალე დახასიათება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ისტორიის შესასწავლად.

მარქსის „კაპიტალი“ გვასწავლის, რომ ფულს, როგორც საქონელს შეუძლია გამოხატოს ადამიანთა ურთიერთობა, მაგრამ არ შეიძლება შეცვალოს იგი, რომ ადამიანთა ურთიერთობა კი არაა ფულადი ურთიერთობის შედეგი, არამედ, პირიქით, ფულადი ურთიერთობაა ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის შედეგი. ამრიგად, „იქ, სადაც ბურჟუაზიული ეკონომისტები საგანთა ურთიერთობას... ხედავდნენ, იქ მარქსმა აღმოაჩინა უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა ა დ ა მ ი ა ნ თ ა შ ო რ ი ს“ (ლენინი).

* * *

ამრიგად, მარქსმა „კაპიტალის“ პირველ ტომში ძირითადად გამოიკვლია ზედმეტი ღირებულების წარმოებისა და კაპიტალის დაგროვების პროცესი. მაგრამ მარტოოდენ ამით როდი ამოიწურება ამ გენიალური ნაშრომის მეცნიერული მნიშვნელობა.

ზედმეტი ღირებულების თეორიის საფუძველზე მარქსმა სააშკარაოზე გამოიტანა კაპიტალისტური ექსპლოატაციის თავისებურება, რამაც უკანასკნელი საყრდენი გამოაცალა ბურჟუაზიის ყალბ მტკიცებას, თითქოს კაპიტალიზმის პირობებში გამეფებული იყოს თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანობა და ინტერესთა საყოველთაო ჰარმონია.

კ. მარქსის „კაპიტალი“, რომელშიც მოცემულია „კაპიტალიზმის საფუძველთა ანალიზი“ (სტალინი), გამსჭვალულია კაპიტალიზმის რევოლუციური გზით დამხობის იდეით. მარქსმა აღმოაჩინა ყველაზე რევოლუციური კლასი — სამრეწველო პროლეტარიატი და დაგვანახვა ამ კლასის, როგორც ბურჟუაზიული სამყაროს მესაფლავის როლი, რომელსაც შეუძლია იერიში მიიტანოს კაპიტალიზმის დასამხობად. ამ ისტორიული მისიის შესასრულებლად საჭიროა მას ჰყავდეს თავისი პარტია. ამ პარტიას მარქსი კომუნისტურ პარტიას უწოდებდა.

„კაპიტალი“ პროლეტარული ფილოსოფიური სისტემის ენციკლოპედიური ნაწარმოებია, რომლის უდიდეს ღირსებას მისი დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობა წარმოადგენს. არ არსებობს მეცნიერების არც ერთი დარგი ეკონომიური, ფილოსოფიური, ისტორიული, მხატვრული, მათემატიკური თუ სხვა, რომელზედაც მარქსის „კაპიტალი“ არ იძლეოდეს პასუხს. „თუ მარქსს არ დაუტოვებია „ლ ო გ ი კ ა“ (დიდი ასოთი), სამაგიეროდ მან დასტოვა „კაპიტალის“ ლოგიკა... „კაპიტალში“ ერთ მეცნიერებადაა გამოყენებული ლოგიკა, დიალექტიკა და მატერიალიზმის შემეცნების თეორია...“ წერდა ლენინი თავის „ფილოსოფიურ რვეულებში“.




„კაპიტალი“ ამავე დროს უაღრესად პარტიული ნაწარმოებია. მისი ყოველი სტრიქონი, ყოველი ფრაზა ააშკარავებს კაპიტალისტური წარმოებრივი ურთიერთობის მთელ საიდუმლოებას, დაუნდობელი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს კაპიტალისტურ ექსპლოატატორულ კლასებს, მთელ ბურჟუაზიულ სამყაროს, იგი მსოფლიო პროლეტარებს მოუწოდებს კაპიტალიზმის დამხობისაკენ და მისი შეცვლისაკენ ახალი, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობით. ამაშია „კაპიტალის“ დიალექტიკური მეთოდის უდიდესი ძალა და მნიშვნელობა. „მარქსის მოძღვრება ყოვლად ძლიერია, იმიტომ რომ იგი სწორია. იგი სრული და მწყობრია, აძლევს რა ადამიანებს მთლიან მსოფლმხედველობას“... (ლენინი).

* * *

მარქსიზმის რევოლუციური მოძღვრება, განვითარებული და გამდიდრებული ლენინისა და სტალინის მიერ, სულ უფრო და უფრო მეტად ეუფლება მასებს, სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს მსოფლიო-ისტორიული განვითარების მთელ მსვლელობაზე. საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე ი. ბ. სტალინი ამბობდა: „მარქსიზმი რომ მოსპო, უნდა მოსპო მუშათა კლასი, მუშათა კლასის მოსპობა კი შეუძლებელია“. მარქსიზმი ძლიერია და იმარჯვებს იმიტომ, რომ იგი მუშათა კლასის, მშრომელთა ფართო მასების ინტერესებისა და მისწრაფებების გამომხატველია.

მარქსიზმის ტრიუმფს წარმოადგენს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება და საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი წინსვლა კომუნისტური საზოგადოების წარმატებითი მშენებლობის გზით.

მარქსიზმის გამარჯვებას წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, მუშათა რევოლუციური მოძრაობის მძლავრი აღმავლობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

მარქსის უკვდავი იდეები მთელ პროგრესულ კაცობრიობას უნათებს ბედნიერებისა და თავისუფლებისაკენ — კომუნიზმისაკენ მიმავალ გზას.

კარლ მარქსის გენიალური თხზულების „კაპიტალის“ პირველი ტომის მეორე გამოცემის ქართულ ენაზე გამოსვლა დიდი მნიშვნელობის მოვლენაა.

შოთა მიქაშავიძე

# სიამაყე

მოთხრობა

**თენგიზ გოგოლაძე**

ნახატი დ. ხახუტაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობის ახალგაზრდა თავმჯდომარე სანდრო იაშვილი კლუბის სცენაზე დაგვიანებით შევიდა და წითელმაუდიან მაგიდის კუთხეში ჩამოჯდა.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საღამო იყო.

სანდრომ ჯერ კიდევ დილას სთხოვა სკოლის დირექტორს, ორიოდე სიტყვით მინდა მივმართო თქვენს ყოფილ მოწაფეებსო.

საკოლმეურნეო კლუბი სავსე იყო მოწაფეებით, მასწავლებლებითა და მშობლებით. ყოველ მათგანს საზეიმო ელფერი ედო სახეზე.

სანდრო ერთ ხანს მოშორებული იყო თავის სოფელს. ჯერ არმიაში მსახურობდა, შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლობდა და როცა სოფელს დაუბრუნდა ბევრი ახალგაზრდა ველარ იცნო. ველარ იცნო ეთერიც, რომელიც აგერ პრეზიდიუმის მაგიდასთან ყელმოღერებული ზის. სულ მთლად ბავშვი დასტოვა იგი მან... შარშან ზაფხულში შეხვდა და ძლივს მოიგონა ვინ იყო. თურმე ერთხელ, ბავშვობაში კოკა გაუტეხა წყაროზე და შინ ატირებული გაუშვა გოგო... ბუნდოვნად, მაგრამ მაინც მოაგონდა ის დღე.

სანდრომ, სოფელში დაბრუნებისთანავე დაათვალიერა თავისი კოლმეურნეობის მამული, გავიდა მინდვრად, შევიდა ბაღში და ვენახში... კოლმეურნეობის ზვარში ჩაიარა. იმ დროს ქალები ვაზებს რწყავდნენ. ერთმა ქალიშვილმა თავისი ხელის სიმარდით სანდროს ყურადღება მიიპყრო. შევიდა ვაზებში და ცქერა დაუწყო. მტევნებით დახუნძლულ ვაზისკენ წყალს მარჯვედ უკვალავდა გზას თოხმომარჯვებული ქალიშვილი. ნაწნავები წინ გადასცვენოდა, თავი შეიქნია, უკან გადმოიყარა ნაწნავები და სანდრომ მხოლოდ მაშინ მოჰკრა თვალი ეთერის წამოგზნებულ სახეს. გულში სიამე მოეფინა. ქალწულმა წამით შეხედა, მერე თვალი მოჰკრა უადგილოდ გაქცეულ წყალს და წინ თოხისპირი დაუხვედრა. ისევ შესწორდა წელში, ახლა კი მასთან სულ ახლოს გაჩერებულ სანდროს პირისპირ თვალებში შეხედა.

— თქვენ რა, კოლმეურნეობაში მუშაობთ? კოლმეურნეობის წევრი ხართ? — გამოელაპარაკა აგრონომი.

— არა, ისე ვეხმარები კოლექტივს... მე აქ საშუალო სკოლაში ვსწავლობ... გახსოვთ კოკა რომ გამიტეხეთ წყაროზე? აღარც კი გახსოვთ...

სანდრო ჩაფიქრდა, როდის იყო, ვის გაუტეხა კოკა... მოაგონდა... მერედა ის არის ეს ყელმოღერებული ქალიშვილი! დააკვირდა, როგორ არა, არის მსგავსება... მაშინ კვირტი იყო, ახლა ნამდაცვარული ხავერდოვანი ვარდივით გაშლილი, მიმზიდველი...

— მაშ არ გახსოვართ?

— მომაგონდით... ეთერი, არა?

— დიახ...

— რომელ კლასში ხართ?

— მეთერთმეტეში გადავედი...

— როგორ სწავლობთ?

— ვცდილობ ოქროს მედალზე დავამთავრო...

— კარგია... მაშ გაისათ დაამთავრებთ...

და იმ დღის შემდეგ ერთი წელი თვალსა და ხელს შუა გაქრა... ამ ხნის განმავლობაში სანდრო კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, ეთერის თითქმის ყოველდღე ხვდებოდა კოლმეურნეობაში. ვაზის მოვლა შეჰყვარებოდა ქალიშვილს. ვენახიდან მისი საამური სიმღერა გამოჰქონდა ნიავს.

... სანდრო იჯდა მაგიდასთან, ჩაფიქრებული, დიდის გულისყურით უსმენდა მისასალმებელი სიტყვით გამოსულ ორატორებს.

ჯერ სკოლის დირექტორმა ილაპარაკა. შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა ორი მასწავლებელი. სულ დაბალი კლასის მოსწავლემ, ცქრიალა გოგონამ, ლექსით მიმართა თავის უფროს ამხანაგებს და როგორც უფროსებმა, მანაც გულით უსურვა მათ მეცნიერების ახალ-ახალი მწვერვალების დაპყრობა. ლექსი ყველას მოეწონა და მქუხარე ტაში დაუკრეს გოგონას. მშობელთა წარმომადგენელიც გამოვიდა.

სიტყვა სანდროს მისცეს.

სოფელში სულ რამდენჯერმე გამოსულა იგი. მისი სიტყვა და დაწყებული საქმე ყველას სჯეროდა. ამიტომ ახლა, ავიდა თუ არა ტრიბუნაზე, — დარბაზმა სული განაბა. სანდრო სიტყვას არასოდეს არ წერდა. არც ახლა ამოუღია ჯიბიდან რაიმე ქაღალდი. დარბაზს თვალი მიმოავლო და უბრალოდ, სასაუბრო კილოზე დაიწყო. ჩვენს კოლმეურნეობაში ამდენი და ამდენი ბრიგადა არისო, — თქვა, — შემდეგ მოჰყვა რამდენი კოლმეურნე იყო ჯეელი და რამდენი ხანდაზმული, ამათგან ვის რა განათლება ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ კოლმეურნეობაში ორი კაცი იყო უმაღლესი განათლებით, სამი საშუალო ცოდნით, დანარჩენებს ოთხი, ან შვიდი კლასის ცოდნა ჰქონდათ მიღებული.

დარბაზში გაიკვირვეს: ამას რას ამბობს ჩვენი თავმჯდომარე, რა დროს ეს არისო. ყველა მოელოდა, მალე მისალმებაზე გადავაო, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდათ.

— ახლა მინდა შევეკითხო ჩვენს მოწაფეებს... — თქვა სანდრომ და შედგა, ღრმად ამოისუნთქა, — ვინ აპირებს სოფელში დარჩენას? ვის მიაჩნია საკოლმეურნეო შრომა სიამაყედ?

დარბაზში უფრო მეტად შეიშმუშნენ, ერთმანეთს გადახედეს.

— რა დროს ეგ არის, სანდრო? — დაიძახა ვიღაცამ.

სანდრომ პასუხი დააყოვნა.

— სანდრო მართალია! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— რა უდროოა... — განაგრძო ხალხის მხარდაჭერით გულგამაგრებულმა თავმჯდომარემ, — სწორედაც რომ დროულად მიმაჩნია ვთქვა ეს... ვისი ბრალია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა გაურბის ფიზიკურ შრომას? ვისი ბრალია, რომ მათ საკოლმეურნეო მინდვრებზე გასვლა ეზარებათ?

სანდრომ სკოლის დირექტორს შეხედა და პირადად მას მიმართა: — ყოველწლიურად ოცი-ოცდაათი ახალგაზრდა ამთავრებს საშუალო სკოლას, მათგან ორი კაციც არ შემოდის კოლმეურნეობაში... თბილისში გარბიან უმაღლეს სასწავლებელში მოსაწყობად... როგორ გგონიათ, ყველა ეწყობა? ისევ სოფელში ბრუნდებიან და უსაქმურობენ... აქაოდა მანქანები მომრავლდა, აქაოდა გლეხს შრომა შეუმსუბუქდაო; ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა საკოლმეურნეო შრომაში არ ჩავაბათ... დღემდე არც ერთი განცხადება არ შემოსულა გამგეობაში თქვენი ყოფილი მოწაფეებისაგან... უმაღლესი ცოდნა კარგია, მეცნიერების მწვერვალების დაპყრობა კარგია, მაგრამ არავინ უშლის ხელს ჩვენს ახალგაზრდობას თან იშრომოს და თან ისწავლოს... აი, ეს მინდოდა მეთქვა, მეტი არაფერი.

სანდრო ტრიბუნას მოშორდა და თავის ადგილისაკენ გაემართა, თან თვალი შეავლო ეთერის, რომლის საქციელმაც უფრო მეტად გაამხნევა გამოსულიყო დღეს გამოსაშვებ საღამოზე. სანდროს უნდოდა ეთერის საქმიანობა მაგალითად მოეყვანა, მაგრამ რატომღაც კრინტი ვერ დასძრა, თითქოს ვერ გაბედა. არადა გულით ეწადა სოფლის ახალგაზრდობისათვის მოეგონებინა, წლობით როგორ დაუღალავად შრომობდა და სწავლობდა ეთერი, ოქროს მედალიც აიღო და ვაზსაც ჩინებულად მოუარა.

სანდროს შემდეგ აღარავინ გამოსულა. ხალხი დაიშალა, ყველას სალაპარაკო საგნად გამხდარიყო თავმჯდომარის სიტყვა, უმრავლესობა მხარს უჭერდა, ზოგი კი...

* * *

— როგორ არა, მაგის ჭკუაზე ვარ, სწორედ... ტყუილად ვასწავლე გოგოს თერთმეტი წელი, რომ თოხი დავაჭერინო?! რა დროს მაგის თქმა იყო!.. ამით სულ მთლად გაიფუჭა სახელი ხალხში... ბავშვებს ზეიმი ჩაუშალა!.. — ასე ამბობდა სანდროს სიტყვით გაგულისებული თანდა, თალიკოს მამა. თალიკომ ეთერთან ერთად დაამთავრა საშუალო სკოლა.

თალიკოს ექიმობა უნდოდა, დღედაღამ ამაზე ოცნებობდა. თეთრი ხალათი უკვე შეეკერნა თავისთვის, სტუდენტობისას დამჭირდებაო. ერთ ნათესავს მისთვის სტეტოსკოპიც კი მიუტანია საჩუქრად.

თამამი გოგო იყო თალიკო.

იმ ღამეს მოსწავლეთა ბანკეტი თანდას სახლში იყო. მოწაფეებს ერთი-ორი ახალგაზრდა მასწავლებელიც მიეწვიათ.

მხიარულობდა თანდა, არა ნაკლებ მოლხენით იყო თალიკო. სანდროს დასცინოდა. ეთერს არ მოსწონდა ამხანაგის ასეთი ქცევა, სანდროს დაცინვა. ვერც იმხიარულა რიგიანად, გოგონებთან ერთად რამდენჯერმე წაიმღერა, მაგრამ ეთერის სიმღერას არ გავდა იმღამინდელი მისი სიმღერა. თავისტკივილი მოიმიზეზა და შინ ადრე წავიდა.

შუაღამე იყო. მთვარე უნათებდა გზას.

ეთერი ფიქრში იყო წასული. სანდროს სიტყვები თავში უტრიალებდა. მისი ამხანაგებიდან მ:რთლაც არავის უფიქრია სოფელში დარჩენა. ზოგი ექიმობას ოცნებობდა, ზოგი ინჟინრობას, ზოგი აგრონომობას და ვინ იცის რა სურვილები არ უტრიალებდათ თავში ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, მაგრამ სოფლის მკვიდრნი რომ სოფელზე არ ფიქრობდნენ, ეს ცხადზე უცხადესი იყო. სანდროს დღევანდელი გამოსვლა საფუძველს მოკლებული როდი იყო.

სხვამ თუ არა, ეთერმა კარგად იცოდა თავისი ამხანაგების უნარი. აი, თალიკო! დღეს რომ ყველაზე მხიარულია და სახის მანჭვით, ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებით დასცინის სანდროს, — რის ვაი-ვაგლახით გადადიოდა კლასიდან კლასში. ერთხელ მასწავლებელმა თქვა: მერხს უფრო მეტ ნიშანს დავუწერ, ვიდრე თალიკოსო. გაძვალტყავებული, ცრემლით გაბანილი სამიანები აქვს ჩაწიკწიკებული სიმწიფის ატესტატში, ექიმობაზე ოცნებობს! ამ ქვეყნად ყველაფერი იოლი და ხელმისაწვდომი ჰგონია. ეთერიმ კარგად იცის, რა ექიმიც დადგება თალიკოსაგან, რა ცოდნით მიდის იგი თბილისში. უკვირს და არ სჯერა ეთერის თალიკოს მხიარული განწყობილება. თალიკოსნაირები ბარე ათი-თხუთმეტი კიდევ არის სოფელში... ვინც საშუალო სკოლაში მოიკოჭლებდა, — უმაღლესში რა გამართავდა! სახლს რომ უსაძირკვლოდ დადგამ, კედლებს რა ჯანდაბა დაიჭერს!

თალიკო და ექიმი? ვნახოთ, ვნახოთ, აგერ ერთი თვის შემდეგ გამოჩნდება ყველაფერი... ფიქრში წასული ეთერი თავის სახლს მიუახლოვდა, დასაძინებლად

დაწვა, მაგრამ ლოგინშიაც ვერ მოისვენა. დიდხანს ესმოდა თალიკოს სახლიდან ხმაური. დილამდე უკრავდნენ და მღეროდნენ მოქეიფენი.

* * *

— როგორ არა, მაგის ჭკუაზე ვივლი სწორედ!... — ენაზე მიიკერა თანდამ. ვერა და ვერ მოენელებინა სანდროს ნათქვამი. თალიკო თბილისში გასამგზავრებლად მოამზადა. მარტო ხომ არ გაუშვებდა! თვითონაც შეემზადა შვილის გასაცილებლად. თანდას გაგებული ჰქონდა, რომ სამედიცინო ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე შარშან დიდი კონკურსი იყო. შარშან ვინც ვერ მოხვდა ინსტიტუტში, წლევანდელებს ისინიც მიემატებიან და აბა წელს იქნება კონკურსი, თორემ შარშან რა იყო!

თანდამ ორი ხურჯინი გატენა ათასგვარი რამერუმეთი, ერთი მოზრდილი ჩემოდანიც ისე გაავსეს, რომ სახურავი ძლივს მოარგეს. ეს ამდენი ბარგიბარხანა თავის ბიჭებს აჰკიდა თანდამ და სადგურამდე რის ვაი-ვაგლახით მიატანინა.

ამ დღეს მოუხდა ეთერსაც წასვლა. იგი სულ მცირე ბარგით მივიდა სადგურში და იქ თალიკოს შეხვდა.

— ძალიან მსუბუქად წამოსულხარ, — უთხრა თალიკომ და მის პატარა ჩემოდანს ხელი შეავლო.

ეთერმა ამ დროს თვალი მოჰკრა საბილეთო სალაროსთან გრძელ სკამზე ჩამომჯდარ თანდას, რომელსაც თავისი ბარგი გარშემო შემოეწყო.

ეთერს გაეღიმა:

— შენ რა, უკვე მთელი საცხოვრებელით გადადიხარ? სწავლის დაწყებამდე კიდევ ორი თვეა... მე ზეგ უნდა დავბრუნდე.

— შენ რა გიჭირს, — ამოიოხრა თალიკომ, — ოქროს მედალი გაქვს... მე კი... — თალიკომ უმალ მამას შეხედა და სიმხნევე დაუბრუნდა, გულში იმედი აენთო, ტყუილა კი არ მიდის ისე დატვირთული თანდა. ქვას გახეთქავს და თალიკოს მაინც მოაწყობს სამედიცინო ინსტიტუტში.

თალიკოს და ეთერს კიდევ რამდენიმე ამხანაგი მიემატა და მათ ერთად მხიარულად იმგზავრეს თბილისამდე.

თალიკო თბილისის სადგურში დაშორდა მეგობრებს. მამამ შორეულ ნათესავთან წაიყვანა იგი.

* * *

შორეულ ნათესავს არისტოს ეძახდნენ, თბილისში საკმაოდ კარგი თანამდებობა ეკავა და კვაჭის სახელიც ჰქონდა.

იმ ღამეს მასპინძელი არისტო და სტუმარი თანდა სოფლიდან ჩამოტანილ პურ-მარილს უსხდნენ და საუბრობდნენ:

— ცოტა არ იყოს, ძნელია საქიმოზე, ჩემო თანდა, — ეუბნებოდა არისტო, — ქვეყანას მაგაზე უნდა შესვლა... მაგრამ მოგიკვდე, თუ რამე გაგიჭირვო... ქვეყანას შევძრავ... მხოლოდ შენ ამდენის გადადება დაგჭირდება, აუცილებლივ... ხომ იცი...

არისტომ თანდას თეფშის გვერდზე თავისი ხელი დადო და ხუთივე თითი ისე გაპარჭყა, თითქოს ისე გაუჭირდებოდა მათი დანახვა და დათვლა თანდას. თანდა მიხვდა, რას ნიშნავდა ეს, ხუთი ათასი! „ჯანდაბას, — გაიფიქრა თანდამ, ხუთს კი არა, ათს არ დავიშურებ, ოღონდაც გოგო არ დამრჩეს ინსტიტუტს გარეთ!...“

— იქნება, იქნება, ჩემო არისტო, — უთხრა მასპინძელს დაიმედებულმა თანდამ და ღვინო ჩქაფაჩქუფით გადმოასხა ჭიქებში.

— ისე მოვაგვარებ საქმეს, რომ გამოცდაზე ორი სიტყვის თქმა არ დასჭირდება შენს გოგოს, — აბრიალებულ ბუხარში უფრო მეტ შეშას უკეთებს არისტო, ბუხარიც გადარევასაა, — ღვინომოდებული და არისტოს სიტყვებით აღელვებული თანდა ეხვევა და ლოშნის მასპინძელს, ერთგულებას ეფიცება.

იმ დროს, როცა სტუმარ-მასპინძელი ამ დღეში იყვნენ, თალიკო აივნიდან ელნათურებით გაჩირაღდნებულ თბილისს გადაჰყურებდა და უხაროდა, რომ მალე, სულ მალე თბილისელ კეკლუცებში გაერეოდა... სანდროს სიტყვებს იგონებდა და სასაცილოდ არ ყოფნიდა:

— სტეტოსკოპის მაგივრად თოხს დავიჭერ სწორედ! მანამდე არაფერი ჭამოს სანდრომ!

* * *

ეთერი მესამე დღეს დაბრუნდა შინ.

— სად შეიტანე საბუთები, ეთერ! — ჰკითხეს სოფელში.

— სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, დაუსწრებელზე.

— რატომ დაუსწრებელზე? დასწრებულზე სხვებმა დაგასწრეს?

— არა, არავის არ დაუსწრია... ასე მინდოდა, ასე მიჯობს! — იყო ეთერის პასუხი.

რამდენიმე დღის შემდეგ ეთერი კოლმეურნეობის კანტორაში მივიდა. სალამო იყო. სანდრო მარტოდმარტო იჯდა კაბინეტში და რაღაცას წერდა. ცხელოდა. ოთახის კარ-ფანჯარა ღია იყო. ორმაგი ქარი მკათათვის სიცხეს ვერ ერეოდა.

დერეფანში ხშირად მიდი-მოდიოდნენ კოლმეურნეები. გამვლელ-გამომვლელს ყურადღებას არ აქცევდა სანდრო. მაგრამ, როცა ფეხის ხმა მისი კაბინეტის კართან მიწყდა, აიხედა. მასთან მარტო არასოდეს არ მოსულა ეთერი, ფეხზე წამოდგა და წინ მიეგება ქალიშვილს.

— მობრძანდი, ეთერ.

ეთერიმ ხელი ჩამოართვა სანდროს.

— რაზე შეწუხებულხართ, ეთერ? გავიგე უმაღლესში დაუსწრებელზე შეგიტანიათ საბუთები, — მიმართა სანდრომ და სკამზე მიუთითა, სთხოვა დამჯდარიყო.

— დიახ, დაუსწრებელზე შევიტანე საბუთები...

ეს უთხრა ეთერმა და რაღაც ქაღალდი გადასცა თავმჯდომარეს.

— ეს წაიკითხეთ და გაიგებთ, რატომ მოვიქეცი ასე.

სანდრომ ეთერის ხელნაწერს ისე გადაავლო თვალი, თითქოს მომხიბვლელ სურათს უყურებსო. ქალიშვილის განცხადება იყო. „გთხოვთ მიმიღოთ კოლმეურნეობის წევრად“ — ხმამაღლა წაიკითხა თავმჯდომარემ და ეთერს მომღიმარე სახით შეხედა.

— იმ ღამის შემდეგ ვეღარ მოვისვენე, — ნახევარხმით წამოიწყო ეთერმა, — მანამდეც ვფიქრობდი განცხადების შემოტანას, მაგრამ ის ღამე სულ სხვა იყო ჩემთვის...

— იმ ღამეს ბევრს ეუცნაურა ჩემი გამოსვლა, — თქვა სანდრომ, — ვნახოთ რამდენი მოხვდება უმაღლესში. ნეტამც ისე, რომ ყველამ ისწავლოს! მაგრამ ჯერჯერობით არ გამოდის... საშუალო სკოლადამთავრებული რომ კოლმეურნეობაში მუშაობას გაურბის, მაშინ რა ვქნათ ჩვენ, ვისაც უმაღლესი დაგვიმთავრებია?...

ერთხელ კიდევ დახედა განცხადებას და თავის მაგიდაზე დადო. — სიხარულით დავაკმაყოფილებთ შენს თხოვნას, ეთერ... კარგია სხვებიც რომ მოვიდოდნენ... ამდენი ახალგაზრდებით მთებს გადავაბრუნებთ...

ამ ფიზიკურად სუსტ ყმაწვილ კაცში რაღაც აღმაფრენას ამჩნევდა ქალიშვილი. სულით და გულით სპეტაკი სანდრო ეთერის თვალში ყოველთვის იმაზე მეტად დავაჟკაცებული გამოიყურებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო იგი.

* * *

თანდა წამდაუწუმ თბილისში იყო. არისტო ნაცნობ-მეგობრებში ტრიალებდა. თანდას ისე აჩვენებდა თავს, თითქოს ნემსის ყუნწში ძვრებოდა მისი ქალიშვილის გულისთვის.

გამოცდების დაწყებამდე თალიკოს არაფერი ესაქმებოდა თბილისში, პირველ აგვისტომდე დარჩენილ დღეებს სოფელში ატარებდა.

— მეცოდები, — უთხრა ერთხელ ეთერს თალიკომ, — ტყუილა ისწავლე თერთმეტი წელი? რისთვის გინდოდა ის ოქროს მედალი? თოხნას რა სწავლა უნდოდა?

დილა იყო. ეთერი იმ დროს ვენახისკენ მიეშურებოდა. თალიკოს გამკილავი კილო გულთან არც კი გაიკარა, დამცინავი მზერა ესროლა და მოკლედ მოუჭრა:

— შენი თავი შეიცოდე!.. სხვების დაცინვას, ის გირჩევნია წიგნს მოჰკიდო ხელი!..

უთხრა და გაშორდა. ეთერი ისე ღრმად იყო დაჯერებული თავის კეთილშობილურ საქციელში, რომ ვერავითარი დაცინვა-გაკილვა ვერ მოუკლავდა გულს. ბრიგადაში ყველაზე უმცროსია, მაგრამ მის სიტყვას ფასი აქვს... ყველა უჯერებს და პატივსა სცემს ეთერს... ჩინებულად იცის ვაზის მოვლა-პატრონობა. ახლა უმაღლესს დაამთავრებს და კარგი აგრონომი გამოვა. დასცინოს, დასცინოს თალიკომ, ვნახოთ რა ექიმი დადგება მისგან!..

თანდამ ერთხელ კიდევ დატენა ჩემოდნები და ხურჯინები. ივლისის ბოლოს თავისი ქალიშვილით კვლავ არისტოს მიადგა.

იმ დღეებში არისტო ჩახმახივით იყო შემართული.

— მაჩვენე ერთი ის ხალხი, — უთხრა თანდამ ერთ დღეს არისტოს, — ვინ იბარებს გამოცდას... მოვიყვანოთ, ცოტა პურ-მარილი იმათაც ვარგუნოთ.

— ბავშვი ხომ არა ხარ ამოდენა კაცი! — შეუწყრა არისტო, — შენ კი არ უნდა ნახო ისინი, იმათ უნდა ნახონ შენი გოგო... მხოლოდ შორიდან... ხომ იცი, პროტექტორობა სახიფათო საქმეა და თუ გაიგეს, შეიძლება ვინმე გაფუჭდეს!..

ოღონდ თალიკო მოეწყობოდეს უმაღლესში და თანდა სულაც არ დაგიდევთ იმას, ვინ ვის ნახავს ვინ შესჭამს მის მიერ ჩამოტანილ ძღვენს. ხუთი ათასი მანეთი კი ჩაუთვალა არისტოს. ეს ფული გამომცდელებს უნდა გავუნაწილოთ, უთხრა არისტომ.

ერთ დღეს მამა-შვილი სადღაც წაიყვანა არისტომ. რომელიღაც სკვერის შესასვლელთან გააჩერა და უთხრა, აქ მოიცადე, მე აგერ იმ შენობაში შევალ და გამომცდელს იქიდან დავანახვებ თალიკოსო. არისტო ქუჩის მეორე მხარეს დიდ შენობაში შევიდა. არ გასულა ათიოდე წუთი, სახეგაბრწყინებული დაბრუნდა.

— ხვალ მაგ კაბით წადი გამოცდაზე... ყველაფერი მოგვარებულია, ოთხიანს კი დაგიწერს და მეტიც არ გინდა, — უთხრა თალიკოს.



მეორე დღეს ინსტიტუტში აუარება ახალგაზრდობა შეკრებილიყო. საიდან არ ჩამოსულიყვნენ. ყველას მღელვარება ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდათ სანამ გამოცდა დაიწყებოდა. თალიკოც ღელავდა, მაგრამ ისე არა, როგორც სხვები. მას თავი ჩარიცხულად მიაჩნდა, ახლა უცნობ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს შეჰყურებდა და ფიქრობდა: ნეტავ ამათგან რომელი მოხვდება ჩემს ჯგუფშიო.

დილით წერითი გამოცდა იყო, საღამოს ზეპირი უნდა ჩაებარებინათ.

გამოცდა დაიწყო. სანამ წერას შეუდგებოდა, თალიკომ, თვალი შეავლო დამსწრე მასწავლებლებს, აბა რომელი მომაქცევს ყურადღებას, ვინ არის ჩემი მხსნელი და მფარველიო. თალიკოს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა არც ერთ მასწავლებელს მისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია. ნეტა რომელი ნახა გუშინ არისტომ? რომელს გამოახედა ფანჯრიდან? თალიკოს ხომ იგივე კაბა აცვია, გუშინ რომ ეცვა. გამოცდაზე ისე გამოცხადდა, როგორც არისტომ უთხრა. ნუთუ ვერ დაიმახსოვრა მასწავლებელმა? თალიკომ გახედა დარბაზში მსხდომ ქალიშვილებს, იქნებ სხვასაც აცვია ჩემნაირი კაბაო. მაგრამ მისი კაბის მსგავსი არავის სცმია. მაშინ კვლავ მიეცა იმედი: ალბათ წერით გამოცდაზე განგებ ინიღბება ჩემი მფარველიო.

საღამოს, ინსტიტუტის წინ, ბოძთან აყუდებული თანდა შვილს ელოდა. მშვიდად იყო, პაპიროსს აბოლებდა, მომავალ სტუდენტებს შეჰყურებდა, რამდენიმე აღელვებული ახალგაზრდა დაამშვიდა.

თალიკო გამოიძახეს. იგი თამამად შევიდა დარბაზში. მოელოდა მფარველი მასწავლებლის განსაკუთრებულ დახვედრას. თალიკომ დაინახა, რომ რამდენიმე მაგიდასთან სათითაოდ ისხდნენ მასწავლებლები და თითო-თითო მოსწავლეს ხცდიდნენ. ეს კარგიაო, მოეწონა ქალიშვილს, — მარტო ვიქნები მასწავლებელთან, სულ არაფერს მათქმევინებს, ისე დამიწერს ნიშანსო...

მაგრამ ამ ხუთ მასწავლებელში რომელია მისი მშველელი?

ორ მასწავლებელთან ადგილი თავისუფალია. ერთი გამომცდელი შუახნისაა მეორე ახალგაზრდა. „რომელია?“ — სწრაფად მოქმედებს თალიკოს გონება, წამს იბნევა, რომელთან მივიდეს არ იცის. შუახნის კაცი თავს უქნევს ჩემთან მოდიო... „მიცნო, მიცნო, ალბათ!“ — სიხარულმა ფრთები შეასხა თალიკოს. „აი, თურმე ვინ ყოფილა! კეთილი კაცი ჩანს!“

თალიკო თამამად და კეკლუცად დაჯდა სკამზე. საგამოცდო ფურცელი გადასცა მასწავლებელს.

— თალიკო ბიბილაშვილი, — წაიკითხა საგამოცდო ფურცელში მასწავლებელმა და მერე თალიკოს შეხედა.

— აიღეთ ბილეთი.

თალიკომ აიღო ბილეთი.

— აგერ იქ დაბრძანდით და მოიფიქრეთ, — ეუბნება მასწავლებელი. თალიკო მიდის თავისუფალ მერხისკენ. ფეხები აღარ ემორჩილება. ალბათ სხვების დასანახად მექცევა ასეო, გულს იკეთებს თალიკო. ქალიშვილი დიდხანს არ მჯდარა მერხზე, ბილეთი გვერდით გადადო და მასწავლებელს დაუწყო ყურება, რომელიც ამ დროს გამოსაცდელად შემოსულ ვაჟს ებაასებოდა. ვაჟი რომ სხვა მერხისკენ გაისტუმრა, მასწავლებელმა თალიკოს მიმართა:

— მოიფიქრეთ?

— დიახ.

— მაშ მობრძანდით და მეპასუხეთ.

თალიკო დაჯდა მასწავლებლის პირისპირ და ერთ ხანს დუმდა. რატომაა გაჩუმებული მასწავლებელი? ნუთუ მართლა უნდა ვუპასუხო, — ერთბაშად ისე მოუდუნდა ძარღვები, რომ სკამზე ძლივს შეიმაგრა თავი. იძულებული გახდა თავისი ცოდნა ეჩვენებინა უცხო მასწავლებლისათვის. პირველი საკითხი მოკლედ მოსჭრა, უცებ გადავიდა მეორეზე... მასწავლებელს თავი გვერდზე გადაეწია და განაბული უსმენდა თალიკოს.

— დაამთავრეთ?

— დიახ.

— აბა თქვენ თვითონ შეაფასეთ თქვენი ცოდნა. თქვით რა ნიშანი გეკუთვნით და იმ ნიშანს დაგიწერთ...

არა, ეს არ იყო თალიკოს მფარველი ადამიანის სიტყვა და კილო. თალიკოს საქციელი წაუხდა. უკვე აღარ ესმოდა, რატომ ექცეოდა მასწავლებელი ასე. ნამდვილად ვერ იცნო და დაიღუპა თალიკო.

— მაგ ცოდნით შორს ვერ წახვალთ, — უთხრა გამომცდელმა. და როცა ნიშნის დასაწერად კალამი მოიმარჯვა, — თალიკოს გული ამოუჯდა.

— ტირილი არ უშველის საქმეს, დროზე უნდა გეფიქრათ...

მასწავლებელმა საგამოცდო ფურცელში ორიანი ჩაუწერა თალიკოს.

— თქვენ არისტოს იცნობთ? — უკვე ზლუქუნით ეკითხება თალიკო, ცდილობს გაახსენოს თავისი თავი „არისტოს ნაცნობს“, ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდის ლოყებზე...

— ვინ არისტო, რომელი არისტო?! — მხრები აიჩეჩა გაკვირვებულმა მასწავლებელმა, — მე ასეთი არავინ ვიცი... ახლა კი მიბრძანდით და შემდეგისთვის კარგად მოემზადეთ.

ატირებული თალიკო ინსტიტუტის შენობიდან გამოვიდა და მამას მივარდა გაწიწმატებული.

— ეგეც შენი არისტო!.. ენდე, ფული მიაყარე!

ფეხზე ძლივს იდგა, თითქოს ბარბაცებდა.

— რა იყო, რა მოგივიდა, გოგო?! ჩაგჭრეს?

— ჩამჭრეს, ჰო... მაგათ განსაზღვრული ჰქონიათ რამდენი ჩაჭრან და რამდენი მიიღონ... ჩამჭრეს იმიტომ, რომ პატრონი არ მყავდა... ისეთი რაღაცა მკითხეს...

— მერედა იმ კაცმა ვეღარ გიცნო? — აწრიალდა თანდა. აღარ იცოდა, რა ელონა. ნუთუ მოატყუა არისტომ? ქვეყანაზე ყოველგვარ შეუძლებელს დაიჯერებდა თანდა, მაგრამ არისტოს ტყუილს კი არა. აქ რაღაც სხვა ამბავია.

— ასე მითხრა, არ ვიცი ვინ არის არისტოო, — ზლუქუნებდა თალიკო.

— იქნებ სხვასთან მოხვდი? მაშ განგებ დაგიხლართეს გზები, ჰა? მაშ ისეთი რამე გკითხეს, რაც არ გისწავლიათ, ჰა? მე მაგათ ვუჩვენებ! კარისკაცმა ვერ შეაკავა გაცეცხლებული თანდა, რომელიც პირდაპირ დირექტორის კაბინეტში შევარდა და ყვირილი ატეხა. იმ დროს საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეც იქ იყო. დირექტორმა და მან დამშვიდებით მოისმინეს თანდას ღრიალი და შემდეგ ზრდილობიანად გამოაბრძანეს იგი გარეთ.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ თალიკო სოფელში დაბრუნდა, მაგრამ შინიდან გარეთ არ გამოდიოდა. სოფელში გამოსვლა რცხვენოდა. ორი დღის შემდეგ ერთი ამხანაგი ქალიშვილი ესტუმრა.

— რა ქენი თალიკო? როგორ მოგიხდა რომ ვერ მოხვდი?

— გენაცვალე, იქ ისეთი ამბები ხდებოდა, რომ... მილიონებს ხარჯავდნენ... მე სად მქონდა მაგდენი... შენ რა ქენი, თინა?

— მე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვაბარებდი... პირველ დღესვე სამიანი მივიღე და ჩემს იქ დარჩენას არავითარი აზრი არ ჰქონდა, სხვები ოთხებსა და ხუთებს იღებდნენ...

თალიკო თავის ჩაჭრის ამბავს ამხანაგებში სხვანაირად ყვებოდა, შინაურებთან სხვას ამბობდა.

* * *

შუა სექტემბრის ერთ საღამოს კოლმეურნეობის კანტორის აივანზე გადმომდგარი სანდრო სოფელს გაჰყურებდა. ამ დროს ყოველთვის, სოფლის შუაგულში, წყაროსთან თავს იყრიდნენ ახალგაზრდები. სანდროს გულში ეკლად ხვდებოდა მათი უშინაარსო თავშეყრილობა.

თანდა მივიდა კანტორაში, თავმჯდომარეს ქუდმოხდით მიესალმა. სანდროს არ ეპიტნავებოდა თანდა. აირჩიეს თუ არა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, მაშინვე მოხსნა თანდა საწყობის გამგის პოსტიდან. ამაზე ერთი დავიდარაბა ასტეხა თანდამ, სად არ იჩივლა, სად არ ირბინა, მაგრამ ვერაფერს გახდა: თანდას და მის ოჯახს ეჯავრებოდათ სანდრო. ბოლო ხანებში პირფერობაზე გადავიდა საწყობის ყოფილი გამგე, ყოველ შეხვედრაზე პირში უცინოდა თავმჯდომარეს.

გაგიმარჯოსო, უპასუხა სანდრომ და მერე მოანგარიშეების ოთახისაკენ მიმავალი თანდა თავისთან მოიხმო.

— ისინი ვინ არიან იქ, თანდა, წყაროსთან რომ ჩამომსხდარან?

თანდამ იქით გაიხედა.

— რა მოგივიდა, ვერ ხედავ? ჩემზე ჯეელი ხარ, ჩემზე უფრო გიჭრის თვალი! — თანდამ წყაროს აუზთან ჩამომსხდარ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს შორის თავისი თალიკოც დაინახა. ახლა კი ენიშნა, რატომ ეკითხებოდა თავმჯდომარე. სიტყვა პირზე შეაცივდა.

— დაზამთრებამდე წყაროსთან იქნებიან, მერე ბუხრებს მიუსხდებიან. ანეგდოტების თქმასა და ფლირტის თამაშში ატარებენ დროს, არც ოჯახის საქმე აღელვებთ, არც ქვეყნისა!.. თქვა მკვახედ სანდრომ.

— შენი გოგო რას აპირებს, თანდა? — ჰკითხა მერე და პირდაპირ სახეში შეხედა სანდრომ თანდას.

— გაისათ ინსტიტუტში წავა, — სხვა ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა თანდამ.

— გაისამდე მთელი წელია, შე კაი კაცო... ნუთუ შენ მაინც არ გეჩოთირება შინ რომ უსაქმურს უყურებ? შემოიყვანე კოლმეურნეობაში, გაისამდე წაიმუშაოს... საშუალო განათლებით თავი ნუ მოაქვს... თუ იმას ამბობს, ნასწავლი ვარო, სწორედ ნასწავლი ხალხი გვინდა ახლა, რომ უფრო კარგი მოსავალი მოვიყვანოთ...

ამ დროს კაბინეტიდან ტელეფონის ხმა შემოესმა სანდროს, იქით წავიდა და თანდა მარტო დატოვა აივანზე.

— როგორ არა, შენს ჭკუაზე ვივლი სწორედ! სულ მაგას არ ვფიქრობდი, თოხი დავაჭერინო და ყანაში ვამუშაო ჩემი გოგო! ჩაიბურტყუნა თანდამ და შეტრიალდა. წინ ეთერი დახვდა. იგი მწყრალი თვალებით მისჩერებოდა თანდას.

ეთერი გზიდან ჩამოეცალა თანდას.

თანდამ გეზი შეცვალა. კიბეზე დაეშვა, სწრაფი ნაბიჯით მივიდა წყაროსთან და თალიკო გამოიხმო.

— ახლავე წადი შინ, ჩემმა თვალებმა აქ აღარ დაგინახოს! — მკაცრად უბრძანა შვილს.

თალიკოს გაუკვირდა, რა დაემართა მამაჩემსო. მაგრამ უსიტყვოდ დაემორჩილა მის ბრძანებას და შინ წავიდა.

თანდამ მეორე დღესაც არ გაუშვა თალიკო გარეთ. თალიკოს გულზე ხვდებოდა წყაროდან მოსული ახალგაზრდების ხორხოცი. იმ წუთში მათთან უნდოდა ყოფნა, თალიკო უჩინარი საბელით იყო დაბმული.

— დამალე, დამალე, — წამოაძახა ერთხელ კრებაზე სანდრომ თანდას, — კირ-ქვას მოგცემ, მანქანას გათხოვებ, სერზე აზიდე მასალა, კოშკი აუშენე შენს ქალიშვილს და შიგ უფრო მაგრად ჩაჰკეტე!

* * *

სანდრო მარტო როდი იყო უსაქმურობასთან ბრძოლაში. სოფელში აუარება შრომისმოყვარე ადამიანი იყო და ისინი გვერდში ამოუდგნენ თავიანთ თავმჯდომარეს.

მშრომელ კაცს იმაზე მეტად არაფერი ეჯავრება, გულხელდაკრეფილს რომ დაინახავს ვინმეს.

# რუსი ხალხის საჩუქარი

ქუთაისის მაუდის ფაბრიკა საბჭოთა საქართველოს პირველი საფეიქრო საწარმოა. მას მეტად საინტერესო ისტორია აქვს.

ი. ბ. სტალინი 1923 წელს პარტიის XII ყრილობაზე თავის მოხსენებაში პარტიულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ნაციონალური მომენტების შესახებ, მიუთითებდა რა კულტურულად და მეურნეობრივად ჩამორჩენილ ეროვნებათა მშრომელებისადმი დახმარების გაწევის საქმეში რუსეთის პროლეტარიატის როლისა და ამოცანების შესახებ, — ამბობდა: „...ამ მხრივ ზოგიერთი ცდა უკვე მოხდა. საქართველომ ერთი ფაბრიკა წაიღო მოსკოვიდან, და იგი, ალბათ, ახლო მომავალში ამუშავდება...“

საქართველოს მშრომელებისადმი დიდი რუსი ხალხის ეს პირველი საჩუქარი, რომელზედაც დიდი სტალინი ლაპარაკობდა, სწორედ ქუთაისის მაუდის ფაბრიკა იყო. დიდი რუსი ხალხის ამ ჭეშმარიტად გულწრფელმა, ნამდვილად პროლეტარულმა დახმარებამ უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია საბჭოთა საქართველოს მშრომელთა შორის. 30 წლის წინათ, 1924 წლის 12 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა რუსი ხალხის მიერ ნაჩუქარი პირველი საფეიქრო საწარმოს — ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ამუშავება.

განვლილი 30 წლის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა და გაფართოვდა ეს საწარმო. ამ ფაბრიკის ყოფილი ერთ-ერთი საამქროს ბაზაზე ომის შემდგომ წლებში ქალაქ ცხაკაიაში შეიქნა ახალი დამოუკიდებელი საწარმო — ხალიჩების ფაბრიკა, რომელიც ამ სახის საწარმოთა შორის პირველია მთელს ამიერკავკასიაში. ახლა ქუთაისის მაუდის ფაბრიკა ერთ-ერთი მძლავრი და მოწინავეთაგანია საბჭოთა საქართველოში. ფაბრიკამ ჯერ კიდევ ომამდე, 1940 წელს, ჩვენს ქვეყანას მისცა 230 ათასი მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილი, ანუ ოცდაერთნახევარჯერ უფრო მეტი, ვიდრე ამუშავების დაწყების პირველ, 1924 წელს. კიდევ უფრო გაიზარდა ფაბრიკის წარმადობა დიდი სამამულო ომის შემდგომ წლებში. მიმდინარე წელს ფაბრიკა გამოუშვებს 850 ათას მეტრ მაღალხარისხოვან ქსოვილს.

დიდმა რუსმა ხალხმა საბჭოთა საქართველოს მშრომელებს ძმური დახმარება გაუწია საფეიქრო წარმოების კადრების მომზადებასა და გამოწრთობაშიც. ზოგმა ქუთაისელმა მემაუდემ საწარმოო კვალიფიკაცია მოსკოვის, ლენინგრადისა და ივანოვოს საფეიქრო საწარმოებში აიმაღლა, ზოგი კი საფეიქრო საქმის რთულსა და საპატიო პროფესიებს უშუალოდ ადგილზევე დაეუფლა ქუთაისში სამუშაოდ ჩამოსული რუსი ფეიქრების დახმარებით.

როცა 1924 წელს ქუთაისში რუსი ხალხის ნაჩუქარი პირველი საფეიქრო საწარმო მონტაჟდებოდა, წარმოების მრავალ სხვა ოსტატთან ერთად აქ სპეციალური დავალებით ჩამოვიდა სვერდლოვსკელი მექანიკოსი ივანე ივანეს-ძე იანინი. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ფაბრიკის მოწყობილობათა დადგმა-დამონტაჟებაში.

— დარჩით ჩვენთან, კვლავ გვესაჭიროება თქვენი დახმარებაო, — თხოვეს ივანე იანინს ქუთაისელმა მემაუდეებმა, რომლებიც ჯერ კიდევ კარგად არ იყვნენ გაწაფული რთული საქსოვი დაზგებისა და ფაბრიკის მოწყობილობათა მოვლა-პატრონობაში. ივანე ივანეს-ძე დათანხმდა, ოჯახით მოეწყო ქუთაისში და 25 წელი იმუშავა ამ ფაბრიკაში. ივანე იანინის მიერ აღზრდილთა შორის არიან ყოფილი რიგითი მუშა, ამჟამად საქსოვი საამქროს უფროსი იაკობ ქილარჯიანი, ფაბრიკის უფროსი მშრომელი გრიგოლ ლორთქიფანიძე და სხვები, რომლებიც საქართველოში საფეიქრო საქმის პიონერებად გვევლინებიან. ისინი მარტონი როდი არიან. ვინ მოთვლის რამდენ ქართველ ახალგაზრდას გაუწია ივანე ივანეს-ძემ მამაშვილური დახმარება, დაასტატა და წარმოების ნოვატორები გახადა ისინი.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში წელს წარმატებით აითვისეს შალის საბნების წარმოება. მოსკოვის, კიევის, სტალინგრადის, თბილისის, ერევნის მშრომელები სიამოვნებით ხძენენ ქუთაისის ფაბრიკის მიერ გამოშვებულ ცისფერ, მწვანე და მუქ ბორდოსფერ შალის საბნებს.

ქუთაისელი ფეიქრები სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული კიროვობადელ და ლენინაკანელ კოლეგებთან, მოსკოვის ფაბრიკა „ოსვობოჟდიონი ტრუდის“ კოლექტივთან. ქუთაისელები თავდადებით იბრძვიან მოძმე რუს, აზერბაიჯანელ და სომეხ ფეიქრებთან შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. ისინი დღითი დღე ზრდიან მუშაობის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს, ფართოდ ნერგავენ წარმოებაში ყოველივე ახალს, მოწინავეს, პროგრესულს.

შესანიშნავი პერსპექტივებია გადაშლილი ქუთაისის მაუდის ფაბრიკის კოლექტივის წინაშე. მიმდინარეობს ფაბრიკის მთლიანი მოდერნიზაცია, ყველა საამქროში დაიდგმება სამამულო წარმოების ძვირფასი მოწყობილობანი. მოდერნიზაციის შემდეგ ფაბრიკა ყოველწლიურად გამოუშვებს 1.400.000 მეტრ ქსოვილს, მათ შორის საპალტოე დრაპს.

ე. მ.

---

სოფლის წყარო ყველასათვის დასანახავ ადგილზე იყო. საღამოს შინ მინდვრებიდან და ბაღ-ვენახებიდან დაბრუნებულ გლეხებს არ მოსწონდათ ზოგიერთი ახალგაზრდის უქნარობა და ლაზღანდარობა. ვინც საშუალო სკოლადამთავრებულთა გამოსაშვებ საღამოზე უადგილოდ ჩათვალა სანდროს გამოსვლა, თანდათან დარწმუნდა, რომ თავმჯდომარე ცამდე მართალი იყო. ზოგმა მშობელმა აიძულა თავისი შვილი კოლმეურნეობაში შესულიყო, ზოგმა ახალგაზრდამ ეთერს მიბაძა. ასე იყო თუ ისე, წყაროსთან ლაზღანდარების ჯგუფი შემცირდა.

წინათ თუ თალიკო თავის თეთრ ხალათს მალ-მალ ჩაიცვამდა, გამოცდილი ექიმივით სტეტოსკოპსაც დაიჭერდა ხელში და დიდი სარკის წინ შეტრიალ-შემოტრიალდებოდა, გამოცდაზე ჩაჭრის შემდეგ შესძულდა ხალათიც და სტეტოსკოპიც. ხალათი კარადის უჯრაში ჩაჭუჭკნა, სტეტოსკოპი ძველ ზანდუკში ჩააგდო და ამით დასრულდა დიდი ხნის ოცნება ექიმობაზე. ახლა იმის გახსენება ზარავდა, რომ გაისად მამამისი პროტექტორების ძებნას აღარ დაუწყებდა (ასე უთხრა თანდამ), რომ თავად მთელი წლის განმავლობაში უნდა ემეცადინა და ხუთზე თუ არა ოთხზე მაინც ჩაებარებინა გამოცდები. ცალკერძ გული უკრთებოდა, ცალკერძ მშვიდდებოდა იმით, რომ გამოცდებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო.

ერთ დღეს თანდა შინ გაჯავრებული მივიდა. თალიკო მოიხმო.

— აღარ შემიძლია მეტი, სოფელში, სულ შენს უსაქმურობაზე მიჩიჩინებენ...

თალიკო პირდაღებული მიაჩერდა მამას.

— აიღე თოხი და წადი, გასწი!.. ხომ ხედავ შენს ნებაზე აღარ გიშვებენ! გასწი, დღესვე შეიტანე განცხადება!

— რას ამბობ, მამა? მე იქ როგორ წავალ? უნდა მოვემზადო...

თალიკოს ცრემლი მოადგა თვალებზე. თანდა გაშორდა, არაფერი უპასუხნია.

— არა არა, მე არსად არ წავალ! თავს მოვიკლავ... თავს მოვიკლავ!

* * *

თალიკომ უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებისათვის მზადება მაშინ დაიწყო, როცა სოფლიდან დიდ-პატარა კოლმეურნეობის ვენახში წავიდა ყურძნის საკრეფად. შინ მარტო იყო მთელი დღე. ხან აივანზე გავიდოდა და იქ კითხულობდა წიგნს, ხან ბაღში ჩავიდოდა, თუთის ქვეშ ჭილოფზე წამოწვებოდა, მაგრამ არ იქნა, ვერ დაუდო გული წიგნს.

მარტოობამ იმ დღეს იმდენად არა, — მეორე და მესამე დღეს უფრო გაუწვრილა გული. სოფელში ყოფნა განა არ უყვარდა თალიკოს, ყურძნის საკრეფად ვაზს მისეული ხალხის ხმაური, მათი სიმღერის გაგონება... წავიდოდა ვენახში, განა არ წავიდოდა, ყურძენსაც მოკრეფდა და კიდევაც იმხიარულებდა, მაგრამ იმის შიში აკავებდა: კოლმეურნეობის წევრად ჩამწერენ და მერე, გაზაფხულზე ჭარხლისა და სიმინდის სათოხნად გამიყვანენ მინდორშიო.

მარტოობამ სული ამოუღო ახალგაზრდა ქალს.

ერთ დღეს ფოსტალიონი მიადგა თანდას ეზოს და ისეთი ხმით დაიძახა თალიკოო, მთელი სოფელი გაიგონებდა.

— რა გაღრიალებს, კი არ დავყრუებულვარ! — შეუტია ჭიშკართან მოსულმა თალიკომ.

— სასიხარულო ამბავი მოგიტანე, თალიკო, — უთხრა ფოსტალიონმა, — აბა ეს გაზეთი წაიკითხე...

რაიონული გაზეთი თალიკოს გადასცა და მერე კოლმეურნეობის ზვარისკენ დაეშვა.

თალიკომ აივანზე გაშალა გაზეთი.

ამას რას ხედავს მისი თვალები? გაზეთში ორი სურათი იყო დაბეჭდილი: ერთი მოზრდილი, მეორე მომცრო. მოზრდილში ეთერი იყო გამოსახული, ხოლო მეორეში თალიკო. ორივე სურათს ერთი სათაური ჰქონდა: „ერთი სოფლის ახალგაზრდები“.

გულმა ისე დაუწყო ცემა თალიკოს, გეგონებათ ჩაქუჩებს უბრაგუნებენ შიგნიდანო. ჯერ ეთერის სურათს ქვეშ მინაბეჭდი წაიკითხა. ეთერს აქებდნენ.

„ეს ქალბატონი კი“ ასე იწყებოდა თალიკოს სურათქვეშ მინაწერი... თალიკოს თვალთ დაუბნელდა, სიბრაზემ ლამის დაახრჩო, ძარღვებში ცეცხლი შემოენთო... „უსაქმურობა სირცხვილია, ქალბატონო! დროა საქმეს მოეკიდოთ!“

საღამოს შინ მისულ თანდასა და სხვა შინაურებს ტირილისაგან თვალებდასიებული თალიკო დახვდათ. მათ უკვე იცოდნენ, რაში იყო საქმე.

* * *

სხვა გამოსავალი არ იყო: თალიკო სამუშაოდ უნდა წასულიყო. ეგონა სოფელი დაცინვით შემხვდება როგორც კი გარეთ გამოვჩნდებიო, მაგრამ სოფელს უკვე მობეზრებოდა მასზე ლაპარაკი.

რთველს ველარ მიუსწრო, სიმინდის სატეხად წაიყვანეს.

ერთ დღეს ბებერ მუხასთან ჩაიარეს სანდრომ და ეთერიმ. სანდრომ გაიხსენა ის დღე პირველად რომ შეხვდა ეთერის... სანდრომ თვალებში ჩახედა ეთერის. როგორც ქვეყნის უნაპირო სივრცე, ისე უსაზღვრო იყო ეთერის თვალების სიღრმე. და ამ უსასრულობაში ბედნიერების კანდელი ენთო.

სიმინდის ყანაში ტაროს ტეხდნენ კოლმეურნენი.

ყანის პირას თალიკო დაინახეს. თალიკომ სახე მოარიდა მათ, ტაროს მისწვდა, ქუჩეჩი შემოაცალა და მოსტეხა...

მეცოდინებიო, მოაგონდა ეთერის მისი მწარე სიტყვა, მაშინდელი ზვიადი ამაყი გამოხედვა მისი და თავად შეეცოდა თალიკო, რომელმაც დღემდე არ იცოდა რა არის ადამიანისათვის ნამდვილი სიამაყე.



# ქრონიკა

## მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობა მიმდინარე სეზონისათვის საგრძნობლად რეკონსტრუირებულ იქნა არქიტექტორ ნ. ჩუბინაშვილის პროექტის მიხედვით.

შეცვლილია მთლიანად სცენის მექანიზაცია, განათებისა და გათბობის სისტემა. მაყურებელთა დარბაზი გემოვნებითაა გადაკეთებული. მთლიანად შეცვლილია ჭერი, მას ამშვენებს მხატვრული ჭაღი, რომლის დიამეტრი $5\frac{1}{2}$ მეტრს უდრის. ჭაღი გამოყენებულია დარბაზის ვენტილაციისათვისაც.

დადგმულია ნახევრად რბილი სკამები, რომლებიც გაკეთებულია ლენინგრადის დგამების № 1 ფაბრიკის მიერ. სცენასთან ახლოს, დარბაზის ორივე მხარეს დამატებულია ლოჟები.

ჩატარებული კაპიტალური რემონტის შედეგად საგრძნობლად გადიდებულია რეზონანსი.

თეატრის რეკონსტრუქციის სამუშაოები შესრულებულია „გრუზსელელექტროს“ თბილისის კანტორის მიერ.

6 ოქტომბერს თეატრში გაიხსნა ახალი სეზონი. წარმოდგენილ იქნა ნაზიმ ჰიქმეთის „ლეგენდა სიყვარულზე“.

მორიგ პრემიერად ნაჩვენები იქნა ესპანელ დრამატურგის მორეტოს კომედია „ცოცხალი პორტრეტი“.

სეზონის პირველ ნახევარში მაყურებელი ნახავს ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“ ახალ დადგმას (ინსცენირება შ. დადიანისა და ვ. ყუშიტაშვილის).

გარდა ამისა თეატრის კოლექტივი მუშაობს ტრენევის შესანიშნავ პიესაზე „ლუბოვ იაროვაია“.

ფ ო ტ ო ზ ე: მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მაყურებელთა დარბაზის საერთო ხედი.



## ყოველდღიური კედლის გაზეთი

თბილისის მეოთხე სახალხო სავაგონო უბნის კოლექტივი სცემს ყოველდღიურ კედლის გაზეთს. გაზეთს ჰყავს ერთი მთავარი და ექვსი მორიგე რედაქტორი. ყოველი მორიგე რედაქტორი კვირაში უშვებს ერთ გაზეთს. რედკოლეგია 18 კაცისაგან შედგება. ყოველ ნომერზე მუშაობს სამი კოლეგიის წევრი.

კედლის გაზეთს შემოკრებილი ჰყავს მუშკორთა აქტივი, რომელიც ფართო მონაწილეობას ღებულობს გაზეთის ფურცლებზე.

გაზეთში აქტიურად მონაწილეობს სავაგონო უბნის ყველა პროფესიის მუშაკი: ინჟინრები, ზეინკლები, მღებავები, ელექტრომონტიორები და სხვ.

კედლის გაზეთი მეოთხე სავაგონო უბანზე მომუშავეთა შორის პოპულარობით სარგებლობს.

ფ ო ტ ო ზ ე: რედკოლეგია მუშაობს მორიგი ნომრის გამოსაშვებად.





## კერამიკული ნაწარმი

თბილისის კერამიკული კომბინატი მშენებლობებისა და ფართო მოხმარებისათვის უშვებს ფაიანსისა და ნახევრად ფაიფურის ნაწარმს.

აქ უმთავრესად მზადდება კედლის მოსაპირკეთებელი ფილები. აქამდე კომბინატი უშვებდა მხოლოდ თეთრი ფერის ფილებს, ახლა ათვისებულია სხვადასხვა ფერის ფილების გამოშვება. კომბინატმა წლის განმავლობაში უნდა დაამზადოს და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ორგანიზაციებს დაუგზავნოს 500 ათასი კვადრატული მეტრი ფილი. მარტო წელს, მეოთხე კვარტალში, კომბინატი გამოუშვებს ერთ მილიონ ექვსასი ათას ცალ ფილს.

კომბინატი ამზადებს ნახევრადფაიფურის სამშენებლო ნაწარმსაც, ბინების სათავსოების მოსაწყობად.

კერამიკული კომბინატის მუშაობა ამით არ განისაზღვრება. იგი ფართო მოხმარებისათვის უშვებს ფაიანსის დოქებს, კასრებს, მალე დაიწყება სხვა სახის ჭურჭლის გამოშვებაც.

კომბინატი ნედლეულს ღებულობს რუსეთიდან. ცეცხლგამძლე თიხა, კაოლინი, კვარცის ქვიშა, მინდვრის შპატი, უკვე დასუფთავებული და გამდიდრებული, ვაგონებით მოდის თბილისის კერამიკული კომბინატის სახელზე.



## საამშენებლო გამოფენა

ქალაქ თბილისში მოწყობილია საამშენებლო გამოფენა, რომლის მიზანია განაზოგადოს მოწინავეთა გამოცდილება და დახმარება გაუწიოს მშენებლებს — დანერგონ მიღწევები თავიანთ მშენებლობებზე. გამოფენაზე ექსპონატები წარმოდგენილი აქვთ თბილისისა და ჩვენი რესპუბლიკის მრავალ საამშენებლო ორგანიზაციას.

აქ არის, როგორც მექანიზმები, რომლებიც აადვილებენ და აჩქარებენ საამშენებლო სამუშაოებს, ისე ახალი საამშენებლო მასალა, რომელიც ახლა მზადდება საქართველოს სხვადასხვა ქარხნის მიერ — რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, შენობების მოსაპირკეთებელი კერამიკული ბლოკები, მშრალად დაპრესილი აგური, ქსილო ასფალტი (ხმისა და სითბოს იზოლაციისათვის) და სხვ.

## ახალი ნივთები პლასტმასისაგან

თბილისის პლასტმასის ქარხანამ მიმდინარე წელს დაამზადა მეფრინველეობის ფერმებისათვის ერთი მილიონი ცალი ავტომატური სასმისები, სამასოცი ათასი სატრაქტორო და საავტომობილო ფარი.

საკურორტო ვაჭრობის მთავარ სამმართველოს დაკვეთით ქარხანამ გამოუშვა კოლოფი ხელსაქმისათვის და თეფშები კოლოფზე ამოტვიფრულია ი. ბ. სტალინის სახლი გორში. თეფშებზე ზეთის საღებავებით დაიხატება სხვადასხვა კურორტების დამახასიათებელი ადგილები.



ქრისტიან-ვილჰელმ-ერნესტ დიტრიხი (1712 — 1777). გერმანული სკოლა. „მოხუცი ქალის პორტრეტი“.

(ზეთი, ტილო)



ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს** სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დასავლეთ ევროპის ხელოვნების განყოფილებაში მრავლად არის დაცული სხვადასხვა ეპოქისა და სკოლის ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრები: ზეთის საღებავებითა და აკვარელით შესრულებული სურათები, გრაფიკული ჩანახატები და სხვ.

ექსპოზიციიდან საერთო ყურადღებას იქცევს XIV საუკუნის იტალიური სკოლის ოსტატთა ნახელოვნები ტრიპტიხი, რომელიც, როგორც საფიქრებელია, ბერნარდო დადის ეკუთვნის. აქვეა XV საუკუნის ვენეციური სკოლის ნაოსტატარი პოლეპტიხი (მრავალკარედი).

გამოფენაზე შეხვდებით რაფაელის სკოლის მხატვრის მიერ შესრულებულ სურათს — „მადონა ბავშვით“, რუბენსის სკოლის ოსტატის ნამუშევარს — „ვენეციელი სენატორის პორტრეტი“, გვიდო რენის მიერ შექმნილ მთავარანგელოზის თავს, კარლო ჩინიანის „ძის საყვარულს“.

ფრანგული სკოლიდან აღსანიშნავია გრიოზის სახელოსნოს ოსტატთა სურათები: „მთვრალი მამა“ და „ქალიშვილი წერილით“, მარშალ მასენას პორტრეტი, შექმნილი მხატვარ გერენის მიერ, და „თეთრკაბიანი ქალის პორტრეტი“ მხატვარ ვინტერჰალტერისა. საუცხოოა ჰანდხკუტერის სკოლის წარმომადგენლის, ჰოლანდიელი მხატვრის ნატიურმორტი — „ნანადირევი“.

გერმანული სკოლის მხატვართა სურათებიდან აღსანიშნავია ორი წელზევითა პორტრეტი, რომელიც დიტრიხის ფუნჯს ეკუთვნის და რემბრანდტის გავლენით არის აღბეჭდილი. აქვეა ანჟელიკა კაუფმანის (XVIII საუკ.) ორი დიდი სურათი: „ჰექტორი ემშვიდობება ანდრომახეს“ და „მკვდარი ჩიტის ეპიტაფია“.

გერმანელ მხატვართა პეიზაჟებიდან აღსანიშნავია XIX საუკუნის შუა წლების მხატვრის ფრანკენის ტილოები: „ძველი თბილისი“ და „რიონის შესართავი“.

მუზეუმის კიბეების ასასვლელთან გამოფენილია დიდებული კედლის ხალიჩა, რომელიც ფრანგული გობელენური მანუფაქტურის საუკეთესო ნიმუშია და ოსტატ კაზეტის მიერ არის შესრულებული 1760 წელს.

უახლოეს მომავალში განზრახულია ექსპოზიციაში ერთგვარი ცვლილების შეტანა: ზოგიერთი ძველი ნამუშევრების შეცვლა ახალი სურათებით, რის შემდეგაც მნახველები გაეცნობიან მათთვის უცნობ სურათებს — ბრიენის, ლუტის, დიუგეს, ტენირსის, ვან ბალენის, ფრანკენის (XVII საუკ.), სტენვეიკის, დეჰემის, ვან ზონის, რეისდალის, იან სტენის, დირკ ჰალსის, პულენბურგის, ლანკრეს, ვერნე-ლაკრუას, დოუს და ყალმის სხვა გამოჩენილ ოსტატთა შემოქმედებას.



ლუკას კრანახის სკოლა (XVI ს.)
„მაჭანკალი“. (ზეთი, ხე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიშე. ფრანგული სკოლა (XIX საუკუნის ნახევარი).
„მდინარესთან“ — პეიზაჟი. (ზეთი, ხე)





ანტონ პალამედესი (1601—1673). ჰოლანდიური სკოლა.
„ცხენოსანთა შეტაკება“. (ზეთი, ხე)

ჰანდსკუტერის ჰოლანდიური სკოლა (XVII საუკუნ
„ნანადირევი“ — ნატიურმორტი. (ზეთი, ტილ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონული
ბიბლიოთეკა



. ფრანც ქსავერი ვინტერჰალტერი (1806 — 1875). ფრანგული
სკოლა. „თეთრკაბიანი ქალის პორტრეტი“ (1855 წ.). (ზეთი, ტილო)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ხუროშვილმა 1951 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ახლა იგი გვირაბთა გაყვანა-გამაგრების კათედრის ასისტენტია და ლექციებს კითხულობს იმავე აუდიტორიებში, სადაც თვითონ სწავლობდა.

# სწავლა, უპირველეს ყოვლისა

**ედ. ყიფიანი**

„სკოლაში გამოცდების დამთავრების შემდეგ დიდხანს აღარ დამჭირვებია ფიქრი იმაზე, თუ სად განმეგრძო სწავლა, რომელი სპეციალობა ამერჩია — გადაწყვეტილი მქონდა ინჟინერი გავმხდარიყავი.

ჯერ კიდევ სკოლაში დავინტერესდი ელექტროტექნიკით. ბევრს ვკითხულობდი. გადავწყვიტე, მთელი ჩემი ძალა და ენერგია მომეხმარებინა ელექტროტექნიკის შესწავლისათვის, მეც შემეტანა რაიმე წვლილი მის განვითარებასა და წინსვლაში. სწორედ ამიტომ შევიტანე განცხადება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროტექნიკის ფაკულტეტზე.

და ახლა, როცა უკვე სტუდენტი ვარ, და ნათელ და ფართო აუდიტორიაში ლექციას ვისმენ, ვფიქრობ: მთელს ჩემს ენერგიასა და ცოდნას მოვახმარ საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობას".

ეს წერილი მოთავსებული იყო გაზეთ „კიროველში", საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოველკვირეულ ორგანოში.

„მთელ ჩემს ენერგიასა და ცოდნას მოვახმარ საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობას", ეს არის საბჭოთა სტუდენტის გულწრფელი სურვილი, მისი ცხოვრების მიზანი.

მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად მან უნდა გაიაროს ძნელი და გრძელი გზა. უნდა გახდეს თავისი საქმის შემოქმედი სპეციალისტი, უნდა გამოიმუშაოს შრომითი დისციპლინა, კოლექტიურობის გრძნობა, საქმისადმი სახელმწიფოებრივი, პარტიული დამოკიდებულება. ამასთან ერთად იგი უნდა გახდეს მრავალმხრივ განვითარებული კულტურული საბჭოთა მოქალაქე.

და აი, პირველივე დღიდან ამ სურვილის, ამ მიზნის განსახორციელებლად სტუდენტთან ერთად ებმება ინსტიტუტის მთელი აპარატი.

... დამთავრდა ლექციები. პირველკურსელები ჯერ კიდევ არ წამომდგარან მერხებიდან, აუდიტორიაში შემოდის უცნობი უფროსკურსელი და აცხადებს:

— ამხანაგებო, ვინც ჯერ კიდევ არ გატარებულა კომკავშირულ აღრიცხვაზე, გამოცხადდეს კომიტეტში.

იწყება კომკავშირული სამუშაოები. ინსტიტუტის კომკავშირელთა 4000-იან არმიას ახალი წევრები ემატებიან. პირველკურსელები აქტიურად ებმებიან საზოგადოებრივ მუშაობაში. კომკავშირი მათ ასწავლის ყოველგვარი საქმისადმი სერიოზულ მიდგომას, დისციპლინას, და რაც მთავარია, რაზმავს აკადემიურ ჩამორჩენილობასთან საბრძოლველად.

იმავე ჯგუფში; სხვა ჯგუფებში და სხვა ფაკულტეტებზე ისევ და ისევ შედიან უფროსკურსელები, ლექტორები, პედაგოგები და პირველკურსელებს ამცნობენ, რომ:

— არსდება სამეცნიერო წრე, მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ...

სამეცნიერო წრეში, გამოცდილი პედაგოგების ხელმძღვანელობით, სტუდენტები ამუშავებენ რეფერატებს, უფრო ღრმად წვდებიან მეცნიერების საიდუმლოებებს, თემებს კითხულობენ ჯერ ინსტიტუტის, შემდეგ კი ამიერკავკასიის რესპუბლიკების უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების ტრადიციულ კონფერენციებზე, და ხანდახან თავიანთ მოხსენებებში ახლებურად აშუქებენ ამა თუ იმ საკითხს, სტუდენტობის დროსვე იძენენ მეცნიერული კვლევის ჩვევებს.

საკვლევი სამეცნიერო მუშაობისათვის სიგელებით დააჯილდოეს სამშენებლო, სამთო, მექანიკური, ელექტროტექნიკური და ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტების სტუდენტები.

წინასაოქტომბრო სამზადისია. დიადი დღესასწაულის საზეიმო საღამოზე პირველკურსელები პირველად ხედავენ თავიანთი ინსტიტუტის ქორეოგრაფიულ ანსამბლს, პირველად უსმენენ 120 სტუდენტისგან შემდგარ მომღერალთა გუნდს, ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრს, ტკბებიან სცენაზე გამოსულ ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა ოსტატობით. რა კარგად ცეკვავენ, რა კარგად მღერიან, რა კარგად ვარჯიშობენ. ნუთუ აქ, ინსტიტუტში ისწავლეს, ინსტიტუტში შეითვისეს ყველაფერი?!

და მეორე დღეს ისინი ეწერებიან ქორეოგრაფიულ ანსამბლში, დგებიან სპორტული დარბაზის კარებთან. ანდა როგორ არ დაინტერესდნენ, ინსტიტუტის მოცეკვავეები ხომ მოსკოვში მიიწვიეს შარშანდელ საზამთრო არდადეგებზე, კრემლშიც კი გამოვიდნენ, დიდი წარმატება ხვდათ. ინსტიტუტის სპორტსმენებს




„ელვა". ეს თავისებური, მამხილებელი კედლის გაზეთია, საკმარისია რომელიმე სტუდენტმა დაარღვიოს დისციპლინა, რომ ამ ამბავს გაზეთის საშუალებით ელვის სისწრაფით გაიგებს მთელი ინსტიტუტი.



მეცადინეობს მხატვრული ტანვარჯიშის სექცია.

კი საბჭოთა კავშირის რეკორდებიც აქვთ დამყარებული, ზოგიერთი მათგანი მსოფლიო დემოკრატიული ახალგაზრდობის ფესტივალის მონაწილეა, ხომ შეიძლება, რომ...

რასაკვირველია, შეიძლება, რომ დღევანდელი პირველკურსელები ხვალ სამეცნიერო კონფერენციების მონაწილეები გახდნენ, ან მოსკოვში მიიწვიონ, როგორც მხატვრული ანსამბლის წევრნი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ სპორტში. მათთვის ინსტიტუტში ყოველგვარი პირობაა შექმნილი.

მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, სწავლა, მაღალი აკადემიური მაჩვენებლები! ეს არის ყოველი სტუდენტის ამოცანა. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური პერსონალი, კარგად დაყენებული სასემინარო სამუშაოები, მდიდრულად აღჭურვილი ტექნიკური ლაბორატორიები და კაბინეტები, ინსტიტუტში არსებული მდიდარი ბიბლიოთეკა ხელს უწყობენ და ეხმარებიან სტუდენტს ამ საპატიო ამოცანის შესრულებაში.

გაივლის წლები. უკან დარჩება ინსტიტუტის აუდიტორიებში გატარებული დღეები, საწარმოო პრაქტიკის მოგონებები, ძნელად ჩაბარებული საგნების სიტკბო-სიმწარე, სადიპლომო გეგმარზე მუშაობა, და ყოფილი სტუდენტი, უკვე ინჟინერი, ინსტიტუტის საგზურით ხელში გაემგზავრება ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის რომელიმე მშენებლობაზე. ახდა სურვილი: ინსტიტუტმა მას მისცა ცოდნა და ახლა შეუძლია საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობას მოახმაროს იგი.



საესტრადო ორკესტრის მორიგი კონცერტი.

გაზეთ „კიროველის“ პ/მგ. მდივანი აკაკი ბაქრაძე (ცენტრში) ათვალიერებს ახალი ნომრის პირველ ეგზემპლარს.



ოთარ ჭილაძე

## ზღვასთან

წვიმდა.
ბავშვები ვიდექით ზღვასთან —
ვუცდიდით გემის ნაპირთან მოსვლას.
გემი ჰორიზონტს ნელ-ნელა აცდა,
უკვე ვარჩევდით გემბანზე ბოცმანს.

ზღვა გუგუნებდა.
ცა წვრილად ცრიდა.—
ხეები იდგნენ თმადაშლილები.
მოვიდა გემი შორეულ მხრიდან —
სავსე ბავშვებით და დაჭრილებით.

ბავშვები თითქო დავკაცდით უცებ,
იმ დღიდან უფრო შეგვძულდა ომი.
აშრიალებდა ქარ-წვიმა ფურცლებს,
ღრუბლებს ერთვოდა გემების ბოლი.

ვგრძნობდით — რაღაცა ხდებოდა დიდი...
ვშიშობდით კიდეც... არკი ვიმჩნევდით.
არ გვიღიმოდა ბავშვებს თვალები,
სახლისკენ ჩუმად მივაბიჯებდით.

მერე... ეს, მერე... ვერავინ მოთვლის
შუბლზე გაჩენილ წუხილის ხაზებს...
მალე ერთ მერხზე ვისხედით ოთხნი,
მერხი დავუთმეთ უდედო ბავშვებს.

ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ...
მე ახლაც ზღვასთან მოვედი ისევ.
ზღვა.
მზე.
ბავშვები.
ნათელი დილა —
ვდგევარ, სიცოცხლის სიმღერას ვისმენ.

ვეება გემი ცილდება ნაპირს.
ჩვენ გავუგზავნეთ მრავალი კოცნა.
მიაქვს სურნელი მზისა და დაფნის
და ძლივსღა ვარჩევთ გემბანზე ბოცმანს.

გემს თოლიებმა გასდიეს ფრენით,
ფრთა გაუსწორეს შრიალა ნიავს.
პატარავდება ნელ-ნელა გემი,
მიდის, სიცოცხლის სიმღერა მიაქვს.

ტალღებს ამაყად მიარღვევს იგი,
მის გზას წუხილი ველარ დაბინდავს...
ომი, მდუმარე დღეების რიგი
ჩემს ბავშვობასთან ერთად გაფრინდა...

ნურც ნახოს გემი ნურავინ ისე —
მე რომ პატარამ ვნახე ნაპირთან.

ქუბა

## შორს ეფინება სხივი აისის

რასაც შეხედავ
მზის სხივებით გაბრწყინებულა.
აღმოსავლეთით
ყურსა სწვდება მუსიკის ჟღერა,
ისმის თექვსმეტი რესპუბლიკის
მძლავრი სიმღერა!

საბჭოეთიდან სიმღერის ქროლამ
შესწყვიტა მწარე ცრემლების დენა,
დავრდომილები წამოდგნენ ფეხზე
და ყრუ-მუნჯებმა აიდგეს ენა.

ვაი მას, ვინც ვერ აუღებს ალღოს
ჰანგებს მჩქეფარეს, სიცოცხლით სავსეს —
ამ ჰანგზე ბრუნავს თვით დედამიწა,
საათმაც უნდა იბრუნოს ასე.

აი კომპასის ისარიც ტოკავს,
იცის რომ წყვდიადს ბოლო ელება;
მოდის სინათლე, ღამე უკუნი
აისის სხივმა წითლად შეღება.

და გერმანული ისმის სიმღერა
ნეტარ დღეების განცდათა ჰანგი,
ვუთხრათ მადლობა
დიად საბჭოეთს, —
ვინც აგვიმღერა
ხმატკბილი ჩანგი!

თარგმანი გერმანულიდან
შოთა ამირანაშვილისა

# ალექსანდრე აბაშელი



ქართულმა საბჭოთა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატი პოეტი ალექსანდრე აბაშელი.

ალ. აბაშელმა ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო რეაქციის მძიმე წლებში. რეაქციისა და მსოფლიო ომის შავბნელმა დრომ თავისი დაღი დაასვა ალ. აბაშელის შემოქმედებას. მის პოეზიაში გამოვლინება ჰპოვა რევოლუციის დამარცხებით გამოწვეულმა სევდიანმა განწყობილებამ, თუმცა მას მთლიანად მაინც არ გაუწყვეტია კავშირი ქართული მწერლობის რეალისტურ დემოკრატიულ ნაკადთან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ალ. აბაშელი თანდათან თავისუფლდება ძველი იდეური ტვირთისაგან. ისეთ მგრძნობიარე ლირიკოსს, როგორიც ალ. აბაშელი იყო, შეუძლებელია არ ეგრძნო ახალი, სოციალისტური საზოგადოების ცხოველმყოფელი ძალა და მან გულწრფელად უმღერა ამ ახალ, აღორძინებულ სოციალისტურ საქართველოს. სოციალისტური მშენებლობის დიდმა წარმატებებმა, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ისტორიულმა პროცესებმა თავისი გავლენა მოახდინეს ალ. აბაშელის შემოქმედებაზე. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ალ. აბაშელი, როგორც შემოქმედი, ხელახლა დაიბადა. იგი ჩვენი დიდი მრავალეროვანი სამშობლოს გულწრფელი, მგზნებარე მომღერალი გახდა. მან შეჰქმნა ღრმად შთაგონებული ლირიკული ლექსები, რომლებმაც გაამდიდრეს საბჭოთა ლიტერატურა და რომლებშიც ნათელი გამოხატულება ჰპოვა სოციალისტური ეპოქის მძლავრმა პათოსმა.

ალ. აბაშელის ნათელ რეალისტურ პოეტურ ხმაში მთელი ძალით ამეტყველდა აღორძინებული და თავისუფალი სამშობლოსადმი თავდადების იდეა. სოციალისტური მშენებლობის დიადი წარმატებანი წარმოადგენდნენ პოეტის შემოქმედების დაუშრეტელ ძალას. იგი, როგორც გულწრფელი ლირიკოსი, მუდამ დროულად ეხმაურებოდა იმ ამოცანებს, რომელთაც კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ჩვენი ხალხი უყენებდა მხატვრულ ლიტერატურას. ალ. აბაშელმა გულწრფელი საგალობელი უძღვნა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს — კომუნისტურ პარტიას, მის დიდ ბელადებს ლენინსა და სტალინს, გულწრფელად უმღერა ხალხთა დიად ლენინურ-სტალინურ მეგობრობას.

ალ. აბაშელის პოეზია მთელის გულწრფელობითა და მგზნებარებით ამეტყველდა სამამულო ომის მრისხანე წლებში. პოეტი თავისი მგზნებარე ლირიკით გვერდში ამოუდგა საბჭოთა ხალხს და შთაგონებულად უმღერა ჩვენი ხალხის გამარჯვების საქმეს. მთელი მისი შემოქმედება ამ პერიოდში ერთი აზრითა და ფიქრით განიმსჭვალა:

„კალამო, მხოლოდ შემუსვრა მტერთა,
გადაივიწყე სხვა ყველაფერი".

ალ. აბაშელის ამ სიტყვებში საბჭოთა მწერლობის საბრძოლო აზრი და განწყობილება იყო გამოთქმული. იგი მებრძოლი პოეტის, პატრიოტი მოქალაქის მთელი მგზნებარებით მოუწოდებდა ჩვენ ხალხს სამშობლოს დასაცავად:

„მტერი მოდის კისერზე რომ უღელი დაგადგას,
ვაჟკაცურად დაუხვდი, არ მოუშვა დაჰკარი!".

ალ. აბაშელის ეს სტრიქონები 1942 წლის მრისხანე დღეებში იწერებოდა, როდესაც კავკასიის ქედარა მთებს ვერაგი მტერი მოადგა. საბჭოთა ხალხმა დაიცვა თავისი სამშობლო, ვერაგი მტერი დამარცხებულ იქნა. ამ ბრძოლაში ალ. აბაშელი თავისი მგზნებარე პოეზიით გვერდში ედგა თავის ხალხს. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ალ. აბაშელის პოეზია კვლავ უმღერდა ჩვენი ხალხის შემოქმედებითს შრომას, ხალხთა შორის მშვიდობას.

ალ. აბაშელმა, როგორც სიტყვის ბრწყინვალე ოსტატმა უაღრესად თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართული ლექსის დღევანდელი კულტურის დამკვიდრებაში.

ალ. აბაშელი იყო გულისხმიერი მეგობარი, გულთბილი და გულწრფელი ამხანაგი, ჩუმი, უანგარო, პატიოსანი მოქალაქე და პოეტი. მისი ცხოვრება და პოეტური შემოქმედება მუდამ დარჩება სამშობლოს სამსახურის, მშობელი ხალხის სიყვარულის შესანიშნავ მაგალითად, მწერლის მაღალი პროფესიისადმი დიდი პასუხისმგებლობის შესანიშნავ ნიმუშად.

# ვანო სარაჯიშვილი

**(გარდაცვალების 30 წლისთავის გამო)**

1951 წელს, მოსკოვის დიდი თეატრის საიუბილეო დღეებში, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ი. ს. კოზლოვსკი წერდა: „ვანო სარაჯიშვილი არის ქართველი ხალხის ერთ-ერთი ყველაზე მეტად ბრწყინვალე წარმომადგენელი, მომღერალი, რომლის სახელი საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში ახსოვთ და იციან".

ვანო სარაჯიშვილი იყო ერთ-ერთი მეტად სახელგანთქმული მომღერალი არა მარტო რუსეთში, უცხოეთშიც კარგად იცნობდნენ მის გამოსვლებს, რომლებიც დიდი წარმატებით მიმდინარეობდა და ნამდვილ ტრიუმფულ ხასიათს ატარებდა.

თ. შალიაპინი, ლ. სობინოვი, დ. სმირნოვი, მაზინი, ტიტო რუფო, ბატისტინი, ჯირალდონი და საოპერო ხელოვნების სხვა შესანიშნავი ოსტატები ერთსულოვნად აფასებდნენ ვანო სარაჯიშვილის იშვიათ ბუნებრივ მონაცემებს, მუსიკალობას, ტემპერამენტს, უბადლო ხმას, მაღალ არტისტიზმს და ვირტუოზულ ოსტატობას. ციმბირის ქალაქების რეცენზენტებმა მას „ქართველი მაზინი" დაარქვეს. მსოფლიოში სახელგანთქმულმა დიდმა რუსმა მომღერალმა ლეონიდ სობინოვმა ოფიციალურ შეკითხვაზე საჯაროდ განაცხადა: ოპერა „მარგალიტის მაძიებლებში" ვანო სარაჯიშვილს ტოლი არ ჰყავდა, ის უნიკუმი იყოო.

ვანო სარაჯიშვილის სახელთან დაკავშირებულია ქართული ორიგინალური ოპერის ჩასახვა და განვითარება. ძმებმა ივანე და ზაქარია ფალიაშვილებმა მას „ქართული ოპერის გამომწვევი მიზეზი და პირველი მოჭიკჭიკე მერცხალი" შეარქვეს. „თავისი არაჩვეულებრივი ბუნებრივი ნიჭით, — წერდა ზაქარია ფალიაშვილი, — მან მთელი ეპოსი შეჰქმნა ქართული ეროვნული სიმღერის დარგში. ის იყო ერთი იმ იდეალთაგანი, რომელიც თავისი მომხიბლავი სიმღერით ქართველ მუსიკოს-კომპოზიტორებს სულს გვიდგამდა და გვაქეზებდა ჩვენს შემოქმედებითს მუშაობაში. ის იყო ერთი იმ ბედნიერ მიზეზთაგანი, რომელმაც ჩვენში ისე მოულოდნელად, ერთბაშად თავი წამოაყოფინა იმისთანა უმაღლეს და რთულ მუსიკალურ ფორმას ვოკალურ ხელოვნებისას, როგორიც არის ოპერა".

ოპერის დიდი მსახიობი ვანო სარაჯიშვილი, არა ნაკლებ დიდი იყო, როგორც კამერული მუსიკის ოსტატი. ადრინდელმა ქართულმა რომანსებმა მისი სახით პირველი უბადლო ინტერპრეტატორი და შემსრულებელი ჰპოვეს. ყოველ მცირე სახის მუსიკალურ ნაწარმოებს — რომანსს, სიმღერას ვანო სარაჯიშვილი დასრულებული მხატვრული ფორმით მოსავდა. მისი უბადლო შესრულებით პირველად აჟღერდა საქართველოს საზღვრებს გარეთ ჩვენი „ურმული" და სხვა ხალხური სიმღერები.

პეტერბურგში გამოსვლამდე ვანო სარაჯიშვილმა მუსიკალური განვითარების საკმაოდ რთული გზა განვლო. სიმღერა და ლაპარაკი მან თითქმის ერთსა და იმავე დროს ისწავლა თავის ოჯახში. ჯერ ისევ სავსებით პატარა ვანო გულმოდგინედ მღეროდა შესანიშნავ ხალხურ სიმღერებს თავის მრავალრიცხოვან ოჯახის წევრებთან ერთად. შვიდი წლის ვანო უკვე სიღნაღის საეკლესიო გუნდში გალობდა. შემდეგ თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში ჩაირიცხა. აქ გუნდში პირველი ადგილი დაიკავა და მალე ლოტბარობაც მიანდეს. უბადლო მუსიკალური სმენით დაჯილდოებული ჭაბუკი თბილისის სამუსიკო სასწავლებელში შევიდა — ვიოლონჩელის დაკვრის შესწავლა დაიწყო. 1897 წელს ჩამოყალიბდა სანდრო კავსაძის გუნდი. ამ გუნდში მონაწილეობამ ვ. სარაჯიშვილს მთელს საქართველოში გაუთქვა სახელი.

ხმის დაყენების შემდეგ ვანო სარაჯიშვილი პირველად პეტერბურგის სცენაზე გამოვიდა: 1905 წელს — ალექსი წერეთლის დასში, ხოლო 1906 წელს — იტალიურ ოპერაში. იმავე წლის დამლევს მოეწყო მისი გასტროლები თბილისში. ეს გამოსვლები იშვიათის წარმატებით ჩატარდა.

1906 წლის დამლევს ვანო სარაჯიშვილი იტალიაში გაემგზავრა დახელოვნებისათვის. აქ 1908 წლის დამლევამდე დაჰყო და საყოველთაო აღიარება დაიმსახურა, როგორც უბადლო ხმის მქონე ვირტუოზმა.

1908 წლის დამლევს ვანო სარაჯიშვილი სამშობლოში დაბრუნდა და, თბილისში გასტროლებს შემდეგ, პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც იტალიურ ოპერის დასში პირველ ტენორად მიიწვიეს. შემდეგ ის მღეროდა მოსკოვში, სარატოვში, ბაქოში და მთელ რიგ სხვა ქალაქებში. 1917 წლიდან იგი ნიადაგ საქართველოში ტრიალებდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მომღერალმა გაათკეცებული ენერგიით განაგრძო მუშაობა. თბილისის ოპერის დასში იგი წამყვანი ტენორი იყო და ამავე დროს, თეატრის კომისრის თანაშემწედაც მუშაობდა. 1923 წლის 16 მაისს მას დიდი ზეიმით გადაუხადეს იუბილე და პირველს, ქართველ მომღერალთა შორის სახალხო არტისტის მაღალი წოდება მიანიჭეს. იმავე წლის დამლევს მან ერთხელ კიდევ მოაჯადოვა საზოგადოება ზაქარია ფალიაშვილის „დაისში" გამოსვლით.

„თავო ჩემო" დიდი ქართველი მომღერლის „გედის სიმღერა" გახდა.

1924 წლის 11 ნოემბერს ვანო სარაჯიშვილი გულის მძიმე დაავადებით გარდაიცვალა.

საბჭოთა საზოგადოებრიობამ ღირსეულად დააფასა საყვარელი მომღერლის ხსოვნა. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას მისი სახელი მიენიჭა.

**შ. კაშმაძე**



ვანო სარაჯიშვილი აბესალომის როლში (ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი").



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინდოეთის მსახიობები საქართველოში

ამას წინათ საბჭოთა კავშირს ესტუმრა ინდოელი მსახიობების დიდი ჯგუფი. მათ კონცერტები გამართეს მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, თბილისში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. საბჭოთა მაყურებლებში დიდი მოწონება დაიმსახურა ინდოელი ხალხის ნაზმა და ლირიკულმა სიმღერებმა, ტემპერამენტიანი ცეკვების გასაოცარმა პლასტიურობამ და მიმიკური ხელოვნების სრულყოფილობამ.

ინდოეთის რესპუბლიკის მოსახლეობა ამაყობს თავისი უძველესი კულტურით. ახლო წარსულში კი, როდესაც ეს ქვეყანა კოლონიას წარმოადგენდა, ხამხედრო ხელისუფალნი სამიზნოებად იყენებდნენ კლდეში გამოკვეთილ ინდურ ქანდაკებებს, „უღირსად“ ნათლავდნენ დიდი ხალხის კულტურას.

ათასი, ორი ათასი და უფრო მეტი ხნის ისტორია აქვს ინდურ ცეკვებსა და სიმღერებს.

რესპუბლიკის შექმნის შემდეგ აღორძინების გზას დაადგა დიდი ინდოელი ხალხის კულტურა. დამახასიათებელია, რომ ახლა უფრო და უფრო ხშირად შეხვდებით თანამედროვე სიუჟეტებზე აგებულ ხალხურ ცეკვებს, რომლებიც ინდოეთის პროგრესული ფენების მისწრაფებებს გამოხატავენ.



სურათზე: ინდოეთის კინოხელოვნების ოსტატები თბილისის აეროდრომზე, ცენტრში—რაჯ კაპური

ინდოელი მსახიობები თბილისის პიონერთა სასახლეში.





„როცა შინ, ინდოეთში დავბრუნდებით, ყველა რიქშასა და ყველა გლეხს ვუამბობ რაოდენ დიდი ბედნიერება მხვდა წილად, მე ვეტყვი, რომ ვნახე დიდი სტალინის სამშობლო“ — ასე განაცხადა ინდოელმა კინომსახიობმა ბალრაჯი სახნიმ კინოთეატრ „რუსთაველის“ მაყურებლებთან შეხვედრისას.

თბილისის პიონერთა სასახლეში. ტარა ჩოუდრი ცეკვავს ქართველ პიონერთან ერთად.



კონცერტის მონაწილენი ასრულებენ ინდოეთის ნაციონალურ ჰიმნს.



ინდური სიმღერა
ხალხური საკრავების თანხლებით.

**რაბინდრანად თაგორი**

## ბავშვი მშვიდობა და სიყვარულია

ისინი ხმაურობენ...
ავობენ და დაუსრულებელ ჭიდილში არიან!
ეჭვიანობენ და ერთმანეთს არ ენდობიან!
და ბოლო არ უჩანს მათ უთანხმოებას!

დეე, შენი ახლად ანთებული სიცოცხლე, ბავშვო ჩემო, უწმინდეს კელაპტარივით აკაშკაშდეს მათ შორის და თავისი მარად მოციმციმე და მომჯადოებელი სილამაზით აიძულოს ისინი, რათა დაჩუმდნენ!

ისინი ულმობელნი, გაუმაძღარნი და შურიანები არიან! მათი სიტყვები თითქო ფარული დანებია — სისხლმოწყურებული!.. წადი და მათ ავდრიან გულებს შორის ჩადექი, ბავშვო ჩემო!

დეე, შენმა უნაზესმა გამოხედვამ ისე დაამშვიდოს და დააცხროს ისინი, როგორც ყოვლის შემძლე, შემწყნარებელმა საღამოის სიმშვიდემ ბობოქარი და მოუსვენარი დღე!..

დეე, მათ იხილონ სახე შენი და მით შეიცნონ აზრი ყველა საგნისა...

დეე, მათ შეგიყვარონ შენ!..
მაშინ ისინი ერთმანეთს შეიყვარებენ!

მოდი და უსაზღვროების წიაღში დაიდგი ეგ შენი ბრწყინვალე ტახტი, ბავშვო ჩემო!..

განთიადისას გაშალე გული შენი და ცათამდე აღავლინე იგი, ვითარცა ყვავილი ახლად რომ იფურჩქნება!..

ხოლო მზის ჩასვენებისას დახარე თავი შენი და დაისის სიჩუმეში დაასრულე თაყვანისცემა დღისა!

თარგმანი **ლავრენტი ძიძიგურისა**



როდესაც ტარა ჩოუდრი მსუბუქად, დაუძაბავად ასრულებს ორი ათასი წლის წინათ შექმნილ ცეკვას — „ილარიპუს“. მაყურებლები ოლტაცებულნი რჩებიან. მაგრამ ჰკითხეთ მსახიობს, და ის გიპასუხებთ, რომ ისეთი ოსტატობის მისაღწევად საჭიროა ექვსი წლის ასაკიდან დაიწყონ ცეკვა და მერე ყოველდღიურად იმუშაონ მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

კლასიკურ მელოდიას — „კხაიალ ბახარს“ ასრულებენ ვინაიაკ რაო პატვარდხანი (ცენტრში), გიან გხოში და შაკურ ხანი.



# ნიკო ნიკოლაძე ფოთში

## ვლადიმერ ზამბახიძე

როდესაც სერგეი მესხი გაზეთ „დროებაში“ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მესამოციანელთა ლიტერატურულ პორტრეტებს ხატავდა, მან ნიკო ნიკოლაძის პროფილი ასე მოხაზა: „როგორც რკინის გალიაში დამწყვდეული ვეფხვი თავის დღეში არ ისვენებს, მოძრაობს, ხან ერთს კედელს შეახტება და ხან მეორეს, სწორეთ ისე, ნ. ნიკოლაძეც მოუსვენარი, დაუდეგარი კაცია... ბრძოლა ისეთს საჭიროებას შეადგენს მისთვის, როგორც წყალი თევზისათვის“-ო.

დიდი ქართველი მესამოციანელის მებრძოლი, ენერგიითა და შეუპოვრობით აღსავსე სული, მისი მაღალი ინტელექტი აღუბეჭდავს ახალგაზრდა ოსტატის ხელს ქანდაკებაში, რომელიც მარადმწვანე და დეკორაციულ მცენარეთა შორის დგას ფოთის პარკის შუაგულში. ძეგლის კვარცხლბეკზე ქართულ და რუსულ ენებზე ოქროს ასოებით ამოკვეთილია: „ნ. ი. ნიკოლაძე. 1843-1928“.

85 წელს იცოცხლა ნ. ნიკოლაძემ. შვიდ ათეულ წელს ემსახურა იგი მშობელ ხალხს იმ დიდი მგზნებარებით, რომლის გარეშე თვით პუბლიცისტის შესანიშნავი გამოთქმით „არავითარი დიდი საქმე ქვეყანაზე არასოდეს არ გაკეთებულა და არც გაკეთდება“.

შრომაში დაუღალავი იყო სამოციანი წლების ეს უკანასკნელი მოჰიკანი და მტერთან ბრძოლაში გულადი და უშიშარი. ამიტომ წერდა ილია ჭავჭავაძე მას, „შენ ჩვენი რაზმის ფალავანი ხარო“.

ხიფათით სავსე იყო გზა, რომელიც ჭაბუკობიდანვე შეგნებულად აირჩია ნიკოლაძემ სამოღვაწეოდ, მაგრამ ამას იგი არასოდეს არ შეუშინებია, რადგან მან კარგად იცოდა, რომ „ცხოვრება ბრძოლაა“ და რომ ეს ბრძოლა „უშედეგოდ არ ჩაივლის, გაზაფხული დადგება და სიცოცხლე გაიმარჯვებს“.

ეს ოპტიმიზმი თავიდან ბოლომდე გასდევს ნიკოლაძის პრაქტიკულ საზოგადოებრივ მოღვაწეობას და მის შესანიშნავ ნააზრევს, რომელსაც ასე ცხადად ამჩნევია დიდი ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის იდეათა გავლენის ბეჭედი.

ნიკოლაძე ჯერ თხუთმეტი წლისაც კი არ იყო, როდესაც „სოვრემენიკის“ წერილებმა გაიტაცეს, ხოლო როდესაც მან ახლო გაიცნო და შეისისხლხორცა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძღვრება, თვით გახდა ამ მოძღვრების მგზნებარე პროპაგანდისტი კალმითა და სიტყვით.

* *

ნ. ნიკოლაძე იყო პირველი ქართველი მესამოციანელი, რომელიც რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული პრესის, ჟურნალ „ისკრას“, „სოვრემენიკის“, „კოლოკოლის“ ფურცლებზე ეწეოდა ჩერნიშევსკის მოძღვრების პროპაგანდას.

ამ დიდ საქმეს ეხმაურებოდნენ, ახალი ცხოვრებისათვის საბრძოლველად მოუწოდებდნენ ჩვენს ხალხს ნიკოლაძის მიერ „დროებაში“, „ტიფლისკი ვესტნიკში“ და განსაკუთრებით „ობზორში“ გამოქვეყნებული, ძველი სამყაროსადმი სიძულვილით აღსავსე მებრძოლი წერილებიც.

ნ. ნიკოლაძე XIX საუკუნის მეორე ნახევრის იმ მოწინავე თაობის ერთი მეთაურთაგანი იყო, რომელსაც თვით პუბლიცისტი „ახალ ახალგაზრდობას“ უწოდებდა, და რომელიც, მისი სიტყვით, ხალხის სამსახურს თვლიდა თავის უმაღლეს და უწმინდეს იდეალად.

პუბლიცისტი ხშირად ამბობდა: ხალხის თანაგრძნობის მოსაპოვებლად „საჭიროა იმის ცოდნა, თუ როგორ მოუტანო მას პრაქტიკული სარგებლობა“. ეს აზრი უნათებდა ქართველ მოღვაწეს მისი ყოველდღიური საქმიანობის გზას. იგი ჰქონდა მას მხედველობაში მაშინ, როდესაც მეფის მთავრობას, კატკოვებს, მეშჩერსკებსა და ლეონტიევებს ებრძოდა და იმ დროსაც, როდესაც ხონი-ჯიხაიშის არხის გაყვანას ხელმძღვანელობდა, ჯიხაიშის მამულში სანერგეებს აშენებდა და აქაურ გლეხებს ინკუბატორის „საიდუმლოებას“ უხსნიდა. ამ აზრით ხელმძღვანელობდა იგი, როგორც თბილისის საქალაქო საბჭოს წევრი და ფოთის თვითმმართველობის მეთაური.

თავის დროზე „კვალი“ იტყობინებოდა, რომ 1894 წლის 8 სექტემბერს „ნიკოლაძე ერთხმად აირჩიეს ფოთის ქალაქის თავად“. ეს არჩევნები ნ. ნიკოლაძის ნამდვილი ტრიუმფი იყო. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მისდიოდა მას მილოცვები. მხურვალედ მიესალმა ნიკო ნიკოლაძეს იაკობ გოგებაშვილი, ხოლო გორის ინტელიგენცია თავის „ადრესში“, რომელსაც ხელს აწერდნენ რაფ. ერისთავი, ნიკო ლომოური, ილია ფერაძე და სხვ., სულ 35 კაცი, ასე მიმართავდა მას: „...ბუნებას თავის მადლთან ერთად თქვენთვის გადმოუცია ის თვისებანიც, ურომლებოთ ხშირად თვით მაღალი ნიჭიერებაც კი უსარგებლო, მიწაში დამარხულ განძად გადაიქცევა ხოლმე. ესენი არიან: დაუღალავი მხნეობა, მტკიცე ხასიათი და სიყვარული სამშობლო ქვეყნისა... არა გვგონია, რომ თბილისს გარდა, თქვენი სამოქალაქო მოღვაწეობა ისე გამოსადეგი იყვეს სადმე, როგორც ფოთში“. და ნიკოლაძეც, არჩევის პირველი დღიდანვე, მართლაც „დაუღალავი მხნეობით“ შეუდგა თავის მოღვაწეობას ამ ერთ-ერთ უძველეს სანავსადგურო ქალაქში, რომელიც შორეულ წარსულში სახელგანთქმული იყო ვაჭრობითა და განათლებით.

* *

უძველესი დროიდანვეა ცნობილი კოლხეთი, როგორც ზღაპრული სიმდიდრისა და მაღალი კულტურის ქვეყანა. ამაზე მოგვითხრობენ ბერძენ ისტორიკოსთა მრავალი თხზულებანი და ბერძნული მითები, კერძოდ მითი არგონავთებზე, რომელშიაც დიდი პოეტური მგზნებარებითაა გადმოცემული კოლხეთიდან ოქროს საწმისის გატაცების ამბავი.

ფართო და ცხოველი აღებ-მიცემობა ჰქონდა კოლხეთს მეზობელ და შორეულ ხალხებთან, რომლებსაც ამ ქვეყნის შესანიშნავი ნავსადგურებიდან — დიოსკურიიდან, კერასუნტიდან, ტრაპეზუნდსა და ფაზისიდან (ფოთიდან) გემებით გაჰქონდათ თავიანთ და უცხო ქვეყნებში ცვილი, კანაფი, კუპრი, ხორბალი, აქაური სელის წმინდა ბოჭკოდან დამზადებული და ელინთა შორის „საროდონის ტილოს“ სახელწოდებით ცნობილი ქსოვილები, სხვადასხვა ჯიშის ხილი და კერძოდ ალუბალი, რომლის პირველი ნერგი კერასუნტიდან შეუტანიათ ევროპაში.

მაგრამ არა მარტო აღებმიცემობით იყვნენ ცნობილნი კოლხეთის ეს ქალაქები და კერძოდ ფაზისი. ბიზანტიელი ფილოსოფოსის თემისტეს ცნობით, ფაზისის მახლობლად IV საუკუნეში არსებულა რიტორთა სახელგანთქმული სკოლა, რომელშიაც თავის დროზე მრავალი ქართველი, ბერძენი და რომაელი ახალგაზრდა განსწავლულა.

ასეთი იყო ეს ქალაქი საუკუნეთა მანძილზე, ვიდრე ოსმალოთა ველურმა ურდოებმა არ მიიტაცეს იგი 1518 წელს. შემოსევისთანავე მტერმა ქალაქის ნავსადგური ააოხრა და ფაზისის ნაპირას ააგო თავისი ციხე, რომელშიაც გურია-სამეგრელოდან მოტაცებული „თეთრი მონებით“ ვაჭრობა გააჩაღა.

დიდი იყო ქართველთა შურისძიების გრძნობა მოძალადეებისადმი. ვახუშტის გადმოცემით, იმერლების, მეგრელების და გურულების შეერთებული ჯარები განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ ფოთის ციხეს, რომელიც ხანგრძლივად გადადიოდა ხელიდან ხელში, ვიდრე საბოლოოდ, 1828 წლის 15 ივლისს, ექვსი დღის კანონადის შემდეგ რუსთა და ქართველთა შეერთებულ ჯარს არ დანებდა და თავის მშობლიურ კერას არ დაუბრუნდა. ქალაქის კოშკზე ამჟამადაც გაკრულია მარმარილოს ძველი მემორიალური დაფა წარწერით, რომ ამ დღეს რუს-ქართველთა ნაწილებს ფოთში ხელთ უგდიათ ოსმალოთა 44 ქვემეხი, 13 საბრძოლო დროშა, 2 გვირაბი დენთითა და ჭურვით და მტრის გარნიზონი მთლიანად.

სამშობლოსთან შემოერთებული ქალაქი კვლავ გაცოცხლდა და ნელი-ნელ იმატა მისმა მაჯისცემამ. ყირიმის ომის შემდეგ ცხოვრებამ აქ ახალი ნავსადგურის აგება მოითხოვა. 1863 წელს დაიწყო ამ ნავსადგურის მშენებლობა და 1871-ში დამთავრდა იგი, მაგრამ ხის მასალისაგან აგებული მისი კონსტრუქციები, სულ მალე, მოვარდნილმა ზღვის ქარიშხალმა და ღელვამ დალეწა და ნაფოტებად აქცია.

ქალაქი ხელმეორედ შეუდგა ნავსადგურის შენებას, რისთვისაც მაშინ პირველად გამოიყენეს თეკლათის ცემენტისაგან შეკრული ბეტონის მასივები. ორი დიდი ნაკლი აღმოაჩნდა ახლად აგებულ ნავსადგურს. ერთი — მისი მეტად მცირე მოცულობა იყო, მეორე კი, ის, რომ ღელვის დროს შიდა აუზშიაც ტალღების ისეთი ორომტრიალი იწყებოდა, როგორც გაშლილ ზღვაში. ცუდ ტაროსში „ბეწვის ხიდზე“ გავლას უდრიდა გემების გაღწევა ფოთის ნავსადგურის ვიწრო კარებში, სადაც მთის ოდენა ტალღები, ზღაპრულ რაშებივით ეძგერებოდნენ ერთიმეორეს მკერდით და ზათქით ენარცხებოდნენ ზღვის აქაფებულ ზედაპირზე. ასეთ დარში, შეშინებული ხომალდები უფრო ხშირად ნავსადგურიდან „გაცლას“ ამჯობინებდნენ, შორს „სამშვიდობო რეიდზე“ დგებოდნენ და ზოგჯერ მთელი კვირაობით ელოდებოდნენ ზღვის დაწყნარებას, რათა ბოლოზში შესულიყვნენ ტვირთის გასაზიდად.

ისევ საჭირო გახდა ნავსადგურის „გადაკეთება“ ფოთში და როდესაც პრაქტიკულად დაისვა კითხვა, თუ ვის უნდა დაკისრებოდა იმ დროს ესოდენ დიდმნიშვნელოვანი საქმის ხელმძღვანელობა, ჩვენი ქვეყნის მოწინავე ძალებმა ერთხმად ნიკო ნიკოლაძეზე მიუთითეს. მისი იმედი ჰქონდა ილია ჭავჭავაძესაც და ამიტომ წერდა „ივერია“ თავის დროზე, რომ „ფოთში ნავსადგურის აშენება მჭიდროდ შეკავშირებულია ნიკოლაძის არჩევასთან ფოთის ქალაქის თავად“-ო.

ქალაქის ახალი მოურავი ახალგაზრდული გატაცებით შეუდგა საქმეს. ეს „გატაცება“ იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ აკაკი თავის კერძო ბარათებში, რომლებშიაც იგი ფოთს ხუმრობით „კვაკენბურგს“ (ე. ი. ბაყაყთა ქალაქს — ვ. ზ.), ხოლო ნიკოლაძეს „ბაყაყთა მეფეს“ უწოდებდა, თავის მეგობარს უსაყვედურებდა: ფოთის საქმეების გამო აქტიურ სამწერლო მოღვაწეობაზე ხელი რად აიღეო. ეს საყვედური პოეტმა თავის ბრწყინვალე ლექსშიაც — „ზღვაო აღელდი, აღელდი“ — გაიმეორა. ნიკოლაძე, აკაკის „საყვედურებს“ დინჯად ისმენდა, პოეტის ენამახვილობაზე გულიანად ხარხარებდა და თანაც, მტკიცედ განაგრძობდა ხალხთან ერთად დაწყებულ შრომას, რომლის ნაყოფი, მისი ღრმა რწმენით, თვით ხალხის კეთილდღეობას უნდა მოხმარებოდა. და პირველი დიდი ნაბიჯი, რომელიც მან ამ შესა-



ფოთი. ნ. ი. ნიკოლაძის ძეგლი.

ფოტო ბ. გავრილენკოსი

ნიშნავი პატრიოტული თაოსნობის გასამარჯვებლად გადადგა, ის იყო, რომ ფოთის თვითმმართველობის სახელით ორი მილიონი მანეთის ხუთპროცენტიანი სესხის ობლიგაციები გამოსცა და მისი შემოსავალი ნავსადგურის მშენებლობაზე მიიტანა.

1906 წელს დამთავრდა შავი ზღვის სანაპიროს ამ კეთილმოწყობილი ნავსადგურის მშენებლობა და იმავე წელს, მის კარებში ზვიადად შემოცურდა ოკეანის პირველი გემი, რომლის მოსვლას ნაპირიდან მიესალმა ნ. ნიკოლაძე.

ამ დღეს ჩაიწერა კიდევ ერთი, ახალი ფურცელი, ფოთის საქალაქო მშენებლობის მატიანეში.

* *

ფოთის შუაგული უჭირავს ლამაზად მოქარგულ ქალაქის პარკს, რომლის ჰაერი ათასგვარ ყვავილებისა და მაგნოლიების დამათრობელი სურნელებითაა გაჟღენთილი. ამ პარკის ბოლოში, რიონის პირას დგას სვანური კოშკის გარეგნობის მაღალი შენობა, რომელსაც მცხოვრებნი ამჟამადაც „ნიკოლაძის კოშკს" უწოდებენ. მას ამშვენებს ქალაქის დიდი საათი, „ფოთის კურანტები", რომლის რეკა შორეულ უბნებშიაც ისმის.

წლების მანძილზე ცხოვრობდა და შრომობდა ამ კოშკში ნ. ნიკოლაძე. აქ იყო მოთავსებული ათი ათასზე მეტი ცალი ქართული, რუსული და უცხოური წიგნისაგან შედგენილი მისი მდიდარი ბიბლიოთეკა, რომლის თაროებს მრავალი უნიკალური გამოცემაც ამშვენებდა. ეს წიგნთსაცავი „საჯარო" იყო ფოთში, რადგან მისი კარები, პატრონის გულივით, მუდამ ღია იყო ყველა ცოდნისმოყვარულისათვის, რომელსაც აქ, ენციკლოპედურად განათლებულ მასპინძლისაგან შეეძლო დაუყოვნებლივ მიეღო არა მარტო საჭირო წიგნი, არამედ ამომწურავი პასუხიც ყოველგვარ კითხვაზე. ამ ბიბლიოთეკის მყუდროებაში შეუქმნია ნიკოლაძეს ზოგიერთი თავისი პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული შედევრი.

„ნიკოლაძის კოშკთან" ქალაქის ტერიტორია აკეთებს ნახევარწრეს, საიდანაც იშლება რამდენიმე პარალელური ქუჩა, რომლებიც ნიკოლაძეს თავიდანვე მოუკირწყლავს თეკლათის მთიდან მოზიდული თეთრი ქვით.

ლარივით სწორი ქუჩების, პროსპექტების ქალაქია ფოთი. წლების მანძილზე იკაზმებოდა ახალი შენობებით ეს ქუჩები, რომელთა საგრძნობი ნაწილი ნიკოლაძის თაოსნობითაა გაყვანილი ქალაქში.

ნიკოლაძის ხელმძღვანელობით გაიდო რიონზე ის ხიდები, რომლებიც ქალაქის ცენტრს კუნძულთან და ნავსადგურთან აკავშირებენ დღესაც. მისი მონდომებით დამშვენდა ფოთი, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების, სამოქალაქო და სახელოსნო სასწავლებლების ორსართულიანი კორპუსებით, დაწყებითი სკოლების შენობებით. მან გამართა აქ პირველი სანაოსნო სასწავლებელი და ჭრა-კერვის პროფესიული სკოლა. ამ სასწავლებლებში ღებულობდნენ განათლებას არა მარტო ადგილობრივი, არამედ გურია-სამეგრელოს შორეული სოფლებიდან მოსული, ცოდნას მოწყურებული ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც თავის სარჩოს — ჭადის ფქვილს და ხმელ ყველს — ზურგით ეზიდებოდნენ შინიდან. ამ ღარიბთა მფარველი იყო ნიკოლაძე, რომელიც სწავლის ქირისაგან ანთავისუფლებინებდა მათ სკოლის დირექციებს და ღარიბეს მოსწავლეებს კი თვით უწევდა ფულად დახმარებას.

მცხოვრებთა გონებრივი და ესთეტიკური კულტურის ასამაღლებლად დააარსა აქ ნიკოლაძემ პირველი სახალხო ბიბლიოთეკა და კინოთეატრი. შემდეგ, მათ, საავადმყოფო და ელექტროსადგური შეემატა და ამგვარად ის ადგილი, რომელიც სულ ახლო წარსულში თავისი ბნელი, ატალახებული ქუჩებითა და ქოხმახებით უფრო მეფისდროინდელ სოფელს წააგავდა, ნელ-ნელ ქალაქის იერს იძენდა.

მშენებლობისათვის საჭირო სხვადასხვა მუშახელი ნიკოლაძეს ახლომახლო სოფლებიდან მოჰყავდა.

ფოთის მოსახლეობა გურია-სამეგრელოდან ჩამოსულ იმ ღარიბთა ხარჯზეც იზრდებოდა, რომლებიც უმთავრესად ნავსადგურის მუშათა რიგებს ემატებოდნენ. მათი ერთი ნაწილი, შემდეგში, სამუდამოდაც დარჩა ქალაქში და აქ, თავისი ღარიბი ბინებიც გაიჩინა, რომლებსაც, როგორც ცხრაასხუთის რევოლუციის მონაწილეთა ან თანამგრძნობთა საკუთრებას, მეფის სატრაპი, პოლკოვნიკი ალიხანოვი მრავალჯერ ცეცხლით გადაბუგვას უპირებდა, მაგრამ ნიკოლაძე მუდამ მოხერხებულად უსპობდა მას ამ ბოროტი განზრახვის სისრულეში მოყვანის შესაძლებლობას.

ძველი წყობილების შეურიგებელი მტერი იყო ფოთის მუშათა კლასი. მედგრად იბრძოდა იგი მეფის მთავრობის დასამხობად ცხრაას ხუთში. რეაქციის სუსხიც ამიტომ სწვდა მას ასე მწარედ. ხალხისათვის თავდადებული ბევრი ვაჟკაცი გამოასალმეს აქ სიცოცხლეს მეფის ჟანდარმებმა, ბევრიც ჩრდილოეთის მარადყინულოვან რაიონებსა და კატორღებში გაგზავნეს, მაგრამ ეს ოდნავადაც ვერ ტეხდა მათ რევოლუციურ ნებისყოფას და ახალი ბრძოლებისათვის მზადყოფნის სურვილს. გადასახლებულთაგან, ზოგიერთები უკაცრიელი ჯურღმულებიდან და ბნელი საკნებიდანაც ახერხებდნენ ბარათების საშუალებით თავისი ამბების შეტყობინებას სამშობლოში დარჩენილ ნათესავ-მეგობართათვის. ასეთ ბარათებს ნიკოლაძეც ღებულობდა ფოთში. მის არქივში ინახება ათას ცხრაას ცხრაში მიღებული წერილებით სავსე კონვერტი, რომელზედაც პუბლიცისტის ხელით, წითელი მელნით წარწერილია რუსულად — „პოლიტიკური გადასახლებულნი". ამ ბარათებში, რომლებშიაც პოლიტპატიმარნი მხცოვან მოღვაწეს თავის მძიმე მდგომარეობას აცნობებენ, ისინი წერენ: თქვენდამი მომართვა იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ „არაერთხელ და ორხელ აღმოგიჩენიათ დახმარება ჩვენისთანებისათვისო". ერთ ბარათში გადასახლებულნი სთხოვდნენ მწერალს, რომ „საკითხავი წიგნები და ქართული უცენზურო (ე. ი. ცენზურით აკრძალული ვ. ზ.) ქაღალდები გამოგვიგზავნეთ"-ო.

ნიკოლაძეც შეძლებისამებრ ასრულებდა მათ თხოვნას.

* *

ოდითვე ცნობილი იყო კოლხეთი თავისი გაუვალი ჭაობებით, რომლებზედაც მოგვითხრობენ თავიანთ „აღწერებში" ბერძენი ჰიპოკრატე, ფრანგი შარდენი და იტალიელი არქანჯელო ლამბერტი.

უხსოვარ დროიდან ბუდობდა ამ ჭაობებში ავთვისებიანი ციება, რომელიც ყოველწლიურად იწირავდა ათასობით ადამიანთა სიცოცხლეს. მან თითქმის გააუკაცრიელა კოლხეთის შიდა ადგილები. დაშინებული მცხოვრებნი ზღვისა და მდინარეთა ნაპირებზე სახლდებოდნენ, მაგრამ აქაც უდარაჯებდა მათ ერთი საშინელი მტერი — წყალდიდობა, რომელსაც თითქმის ყოველ გაზაფხულზე ახალ-ახალი უბედურება მოჰქონდა ფოთისა და მისი მშრომელი მოსახლეობისათვის.

ქალაქის მშრომელნი თავს არ ზოგავდნენ წყალდიდობასთან საბრძოლველად. ყოველ ღონეს ხმარობდა მის წინააღმდეგ ნიკოლაძეც, რომელმაც შესანიშნავად იცოდა, რომ ყველა ეს „ღონისძიებანი" თავისთავად უბრალო პალიატივს წარმოადგენდნენ და რომ ამ უბედურებისაგან ადამიანები მხოლოდ კოლხეთის პრობლემის გადაჭრის შემდეგ განთავისუფლდებოდნენ. შესაძლებელია, იმ დროს, ჯრავის ისე ღრმად და ნათლად არ ჰქონდა წარმოდგენილი კოლხეთის პრობლემის წარმატებით გადაჭრის უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მომავლისათვის, როგორც ნ. ნიკოლაძეს. მან იცოდა, რომ მხოლოდ ჭაობების სიკვდილის შემდეგ შეეძლო მალარიით განაწამებ ხალხს ეზეიმნა კოლხეთში ჯანღონით სავსე სიცოცხლის დასაწყისი. მან ცხადად იცოდა ისიც, თუ რა ულევად და მრავალფეროვან სიმდიდრეს შემატებდა ჩვენს ქვეყანას ეს კუთხე, როდესაც მის ნაჭაობარზე, მაღალი ტექნიკით შეიარაღებული ახალი ადამიანი მოიკიდებდა ფეხს და ქვეყნის დასაბამიდან გულდახურულ ყამირებს გადაუხსნიდა მკერდს ხალხის საკეთილდღეოდ.

ვინ იცის რამდენი უძილო ღამე გაუტარებია ნიკოლაძეს თავის კოშკში ამ ფიქრებითა და ოცნებით გატაცებულს.

დიდი რეალისტი მოღვაწე არა მარტო ოცნებობდა კოლხეთის ასეთ წარმტაც და ბედნიერ მომავალზე, არამედ პრაქტიკულადაც იბრძოდა მისი მოახლოვებისათვის. ნიკოლაძემ პირველმა წამოაყენა კოლმატაჟის საშუალებით ამ უძველესი ჭაობების დაშრობის აზრი და ხალხის ბედნიერების სურვილით გატაცებული ამტკიცებდა, რომ ამ ადგილებში, რომლებიც მოსავლის სიუხვით ბევრად წინ გაუსწრებდა ლომბარდიისა და რონის დაბლობებს, სარჩოს იპოვნიდა „მრავალი ათასი უმიწაწყლო გლეხის ოჯახი".

ნიკოლაძე საღად უცქეროდა ცხოვრებას და ამიტომ იცოდა, რომ ეს აზრი განუხორციელებელ ოცნებას წარმოადგენდა იმ დროს. იგი დარწმუნებული იყო, რომ მას ხორცი მხოლოდ ხალხის გათავისუფლების შემდეგ შეესხმოდა.

ასეც მოხდა. საბჭოთა ხელისუფლებამ იხსნა უსაშინელესი ჭაობების ტყვეობისგან კოლხეთის დაბლობი და დაუბრუნა ჩვენი ქვეყნის ხალხს, რომელმაც დაუღალავი შრომითა და გარჯით ნამდვილ წალკოტად აქცია იგი.

* *

თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე უანგაროდ და თავდადებით ემსახურა ნიკოლაძე რევოლუციამდელი ფოთის მშენებლობას. საზოგადო მოღვაწისადმი მტრულად განწყობილმა მეფის მთავრობამ 1912 წელს ძალით მოაშორა იგი საყვარელ ქალაქს და მებრძოლი პუბლიცისტიკის ძველი ვეტერანიც ისევ სამწერლო ასპარეზს დაუბრუნდა. იგი გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც აქტიურად მონაწილეობდა რუსულ პროგრესულ პრესაში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციას ნიკოლაძე პეტერბურგში შეეგება აღფრთოვანებით, ხოლო 80 წლის ასაკს მიღწეული, იგი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას შეესწრო და ჭაბუკური გატაცებით ჩაება ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

* *

დღეს უკვე წარსულის მწარე მოგონებად იქცა კოლხეთის ჭაობები, ბაყაყების, კოღოების და მალარიის ეს საშინელი ბუნებრივი ინკუბატორი. სამუდამოდ გაჰქრა ციებით თვალებგამოლამებულ ადამიანთა უსიამო ცქერა. ახლებურად მოიკაზმა ქალაქი ფოთი, რომლის ცენტრალურ მოედანზე დგას დიდი სტალინის მონუმენტი. ყვავილნარებით მორთული ამ მოედნის ერთი ნაწილი უჭირავს ქალაქის თითქმის ყველაზე თვალსაჩინო ნაგებობას, ხუროთმოძღვრულად მეტად შესანიშნავი და ორიგინალური თეატრის შენობას. თეთრი ლამპიონებით დამშვენდა მრავალფეროვანი გაზონებით მოვარაყებული გრძელი და განიერი ქუჩები, კიდით კიდემდე რომ სერავენ ქალაქის სივრცეს. მუზეუმის საკუთრებად იქცა ძველი „კონკა". ახლა, კოხტა ავტობუსები დასრიალებენ ქალაქის არა მარტო მთავარ ქუჩებში, არამედ მოასფალტებულ და ელექტრონით გაჩირაღდნებულ მის გარეუბნებში — ახალსოფელსა და ნაბადაში, სადაც, ჯერ კიდევ ჩვენს ხსოვნაში, ლაფში ჩაფლული ურემი მთელი კვირაობით უიმედოდ ეგდო ღია ცის ქვეშ. ავტობუსები დაჰქრიან ქალაქიდან კურორტ მალთაყვამდე. ფოთის მშრომელთა უდიდესმა ნაწილმა დასტოვა თავისი ძველი, ვიწრო საცხოვრებელი და ლენინის, ჯუღაშვილის, რუსთაველის ქუჩებზე, ნინოშვილის უბანში, კუნძულსა და ნავსადგურში აგებულ ახალ, სამ-ოთხ სართულიანი სახლების ფართო და ნათელ ბინებში შესახლდა. სწრაფად იზრდება ქალაქის საკანალიზაციო ქსელი. ახალ შენობებთან ერთად, ახალი ბაღნარებით შეიმკო ფოთი. ციტრუსოვანთა ხეივნებია გამართული გრეიფრუტის მეურნეობაში, რომლის მიდამოებს ფოთის „საწურბლიას" ეძახდნენ წარსულში. გაზონების ახალ-ახალი ხალიჩები იქარგება ქალაქის შორეულ უბნებსა და ქუჩებშიაც. ეს ყვავილნარები მდინარე ტეხურის იმ ანკარა, ცივი წყლით ირწყვება, რომელიც ამ ოციოდე წლის წინათ, წყალსადენის გაყვანის შემდეგ, მიიღეს სასმელად ფოთის მშრომელებმა.

წინ მიდის, შეუნელებლად იზრდება ფოთის მშრომელთა კულტურული დონე, მათი სულიერი მოთხოვნილებანი, რომელთა მომსახურეა ადგილობრივი დრამატული და კინოთეატრები, კულტურის სახლი, მრავალი კლუბი და ბიბლიოთეკა, დაწყებითი და საშუალო სასწავლებლები, კოლხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და ქალაქის სალექციო დარბაზები.

* *

დღითი დღე მშვენიერდება სოციალისტური ფოთი. მისი წარმატებანი ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შრომის ნაყოფია, იმ ხალხისა, რომელმაც ქვეყნის სახელოვან წინაპართა ღვაწლის დაფასებაც იცის.

ამის ნათელმყოფელია ფოთის პარკში აგებული ნიკო ნიკოლაძის ძეგლი.

5708

# სწორუპოვარი ფალავანი

ვახტანგ ბალავაძემ ჭიდაობა ისევე დაიწყო, როგორც ყველა ჭაბუკს დაუწყია ჩვენში — თავის ტოლებთან ერთად. ამოიგულებდნენ მწვანე მოლს და იყო დილიდან საღამომდე კოტრიალი! მაგრამ მარტო ჭიდაობა როდი იტაცებდა ვახტანგს. იგი თავდავიწყებით დასდევდა ბურთს, დარბოდა, ცურავდა... ვახტანგი ბევრ თავის ტოლს ჩამოუვარდებოდა აგებულებით, სიმაღლითა და ძალით, მაგრამ საოცრად მოქნილი, სხარტი და სწრაფი იყო. ასე, რომ, ერთი შეხედვით, არავინ იტყოდა — მისგან ნამდვილი მოჭიდავე გამოვაო.

არავინ იტყოდა, მაგრამ როცა ძველმა მოჭიდავემ, გამოცდილმა მწვრთნელმა მიხეილ თიკანაძემ პირველად ნახა ბალავაძე, ალღოთი მიხვდა რა უშრეტი ენერგია, რა ფარული ძალა იყო მის ხმელ, მსუბუქ სხეულში.

მაშინ, 1946 წელს, ვახტანგი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობდა. ერთნაირი გატაცებით მისდევდა იგი ფეხბურთს, მძლეოსნობას, მაგრამ მიხეილ თიკანაძემ — ჭიდაობის ძველმა, გამოცდილმა ოსტატმა — ბალავაძეში სწორედ მოჭიდავე აღმოაჩინა. და როდესაც თიკანაძემ ვახტანგს უთხრა: „ჭიდაობას სერიოზულად მოჰკიდე ხელი და ჩემპიონი გახდებიო", ჭაბუკს გაეცინა კიდეც, გულში არ დაუჯერა, მაგრამ მაშინვე დაყაბულდა და იმ დღიდან საწვრთნელი მეცადინეობა არ გაუცდენია, თუმცა ძველებურადვე თამაშობდა ფეხბურთს ინსტიტუტის პირველ გუნდში, გამოდიოდა მძლეოსანთა შეჯიბრებებში...

იმ დროს ყმაწვილური აგებულებისა იყო ვახტანგი, თვალს ეხამუშებოდა კიდეც მისი ნახვა ხალიჩაზე ტანმოსულ, ბრგე ატლეტთა გვერდით. მაგრამ ძარღვიანი, სწრაფი, მეტისმეტად მოქნილი და არაჩვეულებრივი რეაქციის მქონე ჭაბუკი იოლად უმკლავდებოდა მათ, ვის გვერდითაც ასეთი ჩია ჩანდა.

მისი მწვრთნელი მიხეილ თიკანაძე არ ჩქარობდა. დღე დღეს მისდევდა, თვე — თვეს, გადიოდა ხანი დაუღალავ ვარჯიშში. საგანგებო ყურადღება ექცეოდა ძალის გამომმუშავებელ ვარჯიშებს და მოჭიდავის კუნთებში თანდათან ისხმებოდა ფოლადი.

„დიდ ხალიჩაზე" 23 წლის ვახტანგი პირველად 1950 წელს გამოვიდა. გამოვიდა ქართული ჩოხით და ეროვნულ ჭიდაობაში რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა. იმავე წელს თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი გახდა. შემდეგ კლასიკურ ჭიდაობაში გათამაშებულ საქალაქო პირველობაში მიიღო მონაწილეობა, ათ მეტოქეს შეხვდა, ათივე ბეჭებზე დასცა. სამბოშიც მოსინჯა თავისი ძალა და „ისკრის" ცენტრალური საბჭოს პირველობა მოიპოვა.

ერთი წლის შემდეგ ვახტანგ ბალავაძემ თავისუფალ ჭიდაობაში საკავშირო პირველობის გათამაშებაში საპრიზო, მესამე ადგილი დაიკავა.

მიხეილ თიკანაძეს არც თვალმა უმტყუნა, არც გუმანმა უღალატა — ის გამხდარი, პირხმელი ყმაწვილი, რომელსაც მან სამიოდე წლის წინათ ჩემპიონობა უწინასწარმეტყველა, მართლაც ჯიქურ დაადგა ჩემპიონობის მძიმე გზას და ვაჟკაცურად შეუტია სახელმოხვეჭილ ფალავნებს.

გამჭრიახი მასწავლებლის ჩინებულმა მოწაფემ ბევრი აღარ დააყოვნა და უკვე 1952 წელს სსრ კავშირის ჩემპიონის ორი ოქროს მედალი მოიპოვა. ერთი — თავისუფალ ჭიდაობაში, მეორე—სამბოში. ამ დროისათვის ვახტანგმა უკვე დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა.

მომდევნო წელი კვლავ „ბარაქიანი" გამოდგა ბალავაძისათვის — სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო სახელი და ახალგაზრდობის IV მსოფლიო ფესტივალის ოქროს მედალი!

„სიმწიფის ატესტატი" ჭიდაობაში უკვე კარგი ხნის მოპოვებული იყო — ვახტანგი მთელმა მსოფლიომ გაიცნო. მაგრამ, აი დადგა ყველაზე უფრო მკაცრი გამოცდის ჟამი: 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში.

...ტოკიო. მეიძის ტაძრის პარკი. არაოფიციალური ცნობით დედამიწის ზურგის უძლიერეს ფალავანთა ასპარეზობის გახსნის დღეს პარკის დარბაზში 15.000 მაყურებელმა მოიყარა თავი.

პირველად ვახტანგ ბალავაძე თურქ მოჭიდავე ბექირ ბიუქეს შეხვდა. გამოცდილი თურქი უცხოეთის პრესის მიერ ქვესაშუალო წონაში ერთხმად იყო აღიარებული ჩემპიონის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად და ეს მაშინ, როცა ერთმა იაპონურმა გაზეთმა ბალავაძეზე თქვა: „იგი უფრო მძლეოსანსა ჰგავს, ვიდრე მოჭიდავესო". მაგრამ „მძლეოსანმა" ნაქები „პრეტენდენტი" უმოწყალოდ ათრია ხალიჩაზე და ბოლოს ორთავ ბეჭზე გაშხლართა. მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, მსაჯს სწორედ ერთი წამით ადრე მიუცია შეხვედრის დამთავრების ნიშანი!

მეორე წრეში ქართველმა ფალავანმა ახალზელანდიელ მონაგენს სალტესავით შემოაჭდო თავის რკინის მარწუხები და მე-6 წუთზე ახალზელანდიელი გულაღმა იწვა და, როგორც იქაური გაზეთები წერდნენ, „ღმერთს შესცქეროდა".

ბალავაძის მესამე მეტოქე ფრანგი შეზნო თავისი წონისათვის ფენომენალური ფიზიკური ძალისაა. ამიტომ უცხოელი სპეციალისტები ფრიად იჭვნეულ პროგნოზებს აკეთებდნენ ამ შერკინების ირგვლივ.



მწვავე შეჭიდებაში ვახტანგმა ყველა გააოცა თავისი ტემპერამენტით, ილეთთა სიუხვითა და იერიშის მოულოდნელობით. 15 წუთის განმავლობაში ქულას ქულაზე აგროვებდა ვახტანგი, ბოლოს ბეჭებზე დასცა ფრანგი, მაგრამ თურმე ისევ 1 წამით ადრე მიუცია მსაჯს დასკვნითი სასტვენი!..

მთელი ჩემპიონატის მანძილზე ბალავაძესთან შეხვედრებში ერთადერთი ქულა ყველა მოწინააღმდეგიდან მისმა მეტოქემ მეოთხე ტურში — იაპონელმა კანეკომ გააკეთა. იგი მოულოდნელად ფეხში წვდა ვახტანგს, მაგრამ უმალ ხიდურზე გადავიდა საბჭოთა სპორტსმენი, გაოგნებული იაპონელი თან დაითრია და უკვე მე-3 წუთზე ხალიჩაზე „დაბეჭდა".

ბოლო შეხვედრა ირანელ ფარდინთან ჰქონდა. ეს ჭიდაობა თაგვთან კატის თამაშს უფრო ჰგავდა, ვინემ მსოფლიო პირველობის ფინალს. ირანელი გულდაგულ მიიწევდა... ხალიჩის იქით, ხოლო ვახტანგი სულ იმის ცდაში იყო, როგორმე დაეთრია მეტოქე. მაყურებელთა აღტაცებული ყიჟინის გრიალში სამივე მსაჯმა ოქმებს ხელი მოაწერა, რომლებშიც ბალავაძის გვარის გასწვრივ უამრავი მოგებული ქულა ეწერა.

„მოჭიდავე, რომელიც ფეხებით ისევე მუშაობს, როგორც ხელებით", „ფენომენალურია დგომში", „ტემპერამენტის უშრეტი წყარო", „სწრაფი, მოქნილი, ძლიერი", — ასეთი სათაურებით იყო აჭრელებული იაპონურ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები, რომლებიც მიეძღვნა ახალ მსოფლიო ჩემპიონს ვახტანგ ბალავაძეს. მოჭიდავის მთელი მდიდარი არსენალი, რომლის ბრწყინვალე, ვირტუოზული დემონსტრაცია მოახდინა ვახტანგმა ტოკიოში, მან შეიძინა და შეისისხლხორცა წარმტაცი ქართული ჭიდაობიდან.

ბ. ქორქია,
მ. კაკაბაძე

## გეოლოგიური გამოფენა

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ერთ დიდ დარბაზში გამოფენილია ჩვენი ქვეყნის სასარგებლო ნამარხების ექსპონატები. ეს გამოფენა ნათლად მოწმობს, თუ რაოდენ მდიდარია საბჭოთა საქართველო სასარგებლო ნამარხებით და რა დიდი შრომა გაუწევიათ ქართველ გეოლოგებს ამ ნამარხების აღმოსაჩენად.

გამოფენაზე მდიდარი მასალა დაჯგუფებულია სასარგებლო ნამარხების გამოყენების თვალსაზრისით. რკინის მადნები, სპილენძის მადნები, შავი ქვის მადნები და სხვ.

გამოფენაზე 12 განყოფილებაა.

ცალკეა გამოყოფილი დინამიური და ისტორიული გეოლოგიათა განყოფილებები. აქ მოცემულია კონტინენტების რუკები, მიწის ქანების ჭრილები, მცენარეები და ცხოველები.

სასარგებლო ნამარხთა ექსპოზიცია იწყება ქიმიური ნედლეულით. ჩვენი ბარიტი ცნობილია მთელს საბჭოთა კავშირში. იგი ფართო გამოყენებას ჰპოვებს მძიმე და მსუბუქ მრეწველობაში. გამოფენაზე წარმოდგენილია ამ ნედლეულის ნაირსახეობა: თეთრი, ნაცრისფერი, ყავისფერი, კრისტალური, სპილენძთან ნაერთი და სხვ.

გამოფენაზე ნახავთ თაბაშირის მრავალნაირ სახეობას.

საქართველო ძველთაგან ცნობილი იყო ტექნიკური და სანახელაო ქვებით: აქატი, ამეთვისტო, ოპალი, იაშმები, გიშერი, ობსიდიანი, ალებასტრი მრავლად მოიპოვება ჩვენი მიწის წიაღში. ეს ქვები უკვე ფართო გამოყენებას ჰპოვებს ჩვენს მრეწველობასა და ყოფაში.

გამოფენაზე წარმოდგენილია ტეშიტები, ანდეზიტები, ბაზალტები, გრანიტები. თეძმის, ბოლნისის და სადახლოს ტუფები ხომ ფართოდ არის გამოყენებული ქალაქის მშენებლობებზე. სახლების მოსაპირკეთებლად ასევე ფართოდ ხმარობენ ეკლარისა და გოდოგნის ქვას.

სახურავებად თუთიისა და თუნუქის ნაცვლად მშენებლობებზე გამოყენებულია საბუეს ფიქალი. ასეთი ფიქალებით დახურულია მრავალი ისტორიული შენობა. იგი მეტად გამძლე და ეკონომიურია.

გამოფენაზე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მარმარილო. აქ წარმოდგენილია ექსპონატები საქართველოს მრავალი საბადოდან. ლოპოტის თეთრი და ნაცრისფერი, სადახლოს შავი, შროშის წითელი და ნაცრისფერი და სამხრეთ-ოსეთის, ბანოჯის, დისის (სვანეთი), კოტიტაურის და ასპინძის სხვადასხვა ფერის მარმარილოები, რომლებიც თვისებებით ერთმანეთზე უკეთესები არიან.

ამათ გვერდით საგამოფენო კარადებში აწყვია დიატომიტი, ტალკი, საყალიბე ქვიშები (ცეცხლგამძლე თიხა, კაოლინი), მათეთრი თიხები — გუმბრინი, ასკანიტი.

ცალკეა გამოფენილი შავი ქვის მრავალი ექსპონატი.

აქვეა სპილენძის, რკინისა და ტყვია-თუთიის მადნების ნიმუშები.

ფართოდ არის წარმოდგენილი სამკურნალო და სასმელი მინერალური წყლების ექსპონატები. ბოთლებზე ვკითხულობთ: ბორჯომი, უწერა, ნაბეღლავი, საირმე, სქური, ლუგელა და სხვ.

წარმოდგენილია აგრეთვე საქართველოს ნავთობები და ქვანახშირები.

მეტად საინტერესოა ეს გამოფენა. აქ ფართოდ არის წარმოდგენილი საბჭოთა საქართველოს წიაღისეული სიმდიდრე:



# გლოვის უფლება

**იამპალი**

ამ მოთხრობას ვუძღვნი საბჭოთა კავშირს, რომელმაც საკუთარი მაგალითით დაამტკიცა, რომ მძიმე შრომას და აუტანელ ტანჯვა-ვაებას შეიძლება ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს.

ზოგჯერ ტანსაცმლით მიხვდები, რა საზოგადოებრივი მდგომარეობა უჭირავს ადამიანს, რომელ კლასს მიეკუთვნება და რა უფლებებით სარგებლობს იგი.

კარგმა ტანსაცმელმა შეიძლება ის კარი გაგიღოს, რომელიც სხვა შემთხვევაში გამოკეტილი დაგიხვდებოდა. მაგრამ ზოგჯერ კარგი ტანსაცმელი გადაულახავ წინააღმდეგობადაც გეღობება და ხელს გიშლის დაუახლოვდე მოსახლეობის დაბალ ფენებს, რათა მათი ჭირ-ვარამი გაიზიარო. როგორც ქალაღდის ჩიტი ჰაერის ტალღების მოძრაობის გამო ერთბაშად ძირს ვერ დაეშვება, ასევე კარგი ჩაცმულობის წყალობით ერთბაშად ვერ მოიპოვებ ჩაგრულთა ნდობას.

შუა ბაზარში ერთი ბებერი დედაკაცი ჩაცუცქულიყო. მის წინ ეწყო მწიფე ნესვები, რომელთა ნაწილი კალათში იყო ჩალაგებული და ზოგიც პირდაპირ მიწაზე ეყარა. როგორც ჩანდა, ნესვები გასასყიდად გამოეტანა, მაგრამ ერთი მყიდველიც არ მიჰკარებოდა ახლოს, რადგან დედაკაცს თავი მუხლებში ჩაერგო და მწარედ ქვითინებდა.

მეზობლები დაურიდებლად ჭორაობდნენ ამ ქალზე. ზიზღით უყურებდნენ. გული მეკუმშებოდა, ამ დედაკაცის გმინვას რომ გავიგონებდი, მაგრამ როგორ უნდა გამეგო მისი ტანჯვის მიზეზი? ჩემი ჩაცმულობა უფსკრულს თხრიდა მის ტანჯვასა და ჩემს თანაგრძნობას შორის.

ერთმა მამაკაცმა ზიზღით გადააფურთხა და თქვა:

— აი სანამდე მივიდა ხალხი! მაგის შვილი, მშვენიერი ახალგაზრდა, ჯანსაღი ჭაბუკი გუშინ გარდაიცვალა და ეს უსირცხვილო დედაკაცი დღესვე გამოსულა ნესვების გასასყიდად.

იქვე მდგომმა მეორემ წვერებზე ხელი ჩამოისვა და დაიბუზღუნა:

— ღმერთი მიუზღავს სამაგიეროს.

მესამემ კი, ცოტა მოშორებით რომ იდგა და ასანთის ღერით ყურს იჩიჩქნიდა, დაუმატა:

— აბა რა არის ამ ხალხისათვის სიკვდილი! ამ ღორებს კუჭის გამოძღომის მეტი საფიქრალი არა აქვთ. ერთი ლუკმა პურისთვის თავს გასწირავენ. ეგ არის ყველაფერი. პურის ნატეხია მაგათი ცოლიც, შვილიცა და ღმერთიც!

ლაპარაკში მახლობელი დუქნის ვაჭარიც ჩაერია:

— ყმაწვილებო, იცით რა გითხრათ, ვთქვათ მაგ ხალხისათვის მართლაც სულ ერთია, ცოცხალი იქნება თუ მკვდარი კაცი, მაგრამ იმ ადათ-წესებს მაინც ნუღარ ბღალავენ, რასაც სხვები ვიცავთ. ვინ არ იცის, რომ თუ უფროსი ვაჟიშვილი გამოგეცალა ხელიდან, ცამეტ დღეს მაინც უნდა იგლოვო. არადა, წაწყდები. ეს კი დასკუპულა აქ და ნესვებს ყიდის! ბაზარზე ათასობით ხალხი მიდი-მოდის. ყველამ ხომ არ იცის, რომ შინ სიკვდილი უზის და, მაშასადამე, ეგ უწმინდურია. ვინმე იქნებ მოტყუვდეს კიდეც, მაგისგან ნესვები იყიდოს და ეჭვიც ვერაფერში შეიტანოს. არა, ყმაწვილებო, ამ საქმეს ასე ვერ დავტოვებთ.

ამ ყბედებმა ცოტა რამ გამაგებინეს. გავიგე, რომ უბედური დედაკაცის ოჯახი ოცდასამი წლის ჭაბუკისა და ორი პაწია შვილიშვილისაგან შესდგებოდა. ისინი თავს ერთი ნამცეცა მიწის ნაკვეთით ირჩენდნენ, რომელზეც წელიწადის სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი ხილი მოჰყავდათ. ხილს ბაზარში ჰყიდდნენ და ნაშოვარი ოჯახში შემოჰქონდათ. სხვა დროს ჭაბუკი მოიტანდა ხოლმე ბაზარში კალათას, ბებერს სავაჭროდ დასტოვებდა, თვითონ კი ისევ ბაღჩისაკენ გასწევდა.

ამ ორი დღის წინათ, როცა დილის ნისლში ჭაბუკი ნესვებს კრეფდა, შემთხვევით ფეხი დააბიჯა ნოტიო, გრილ კვალში მთვლემარე გველს და გველმაც სამაგიერო გადაუხადა.

შეშინებული დედა მაშინვე გაიქცა ექიმბაშთან, რომელმაც ათასგვარად შეულოცა და თვით გველთა ღმერთებიც კი იხმო დასახმარებლად! ოჯახის მთელი ხორბლეული, უკანასკნელი მუჭა ფქვილიც კი ქრთამებს მოხმარდა, დედა, ცოლი, პატარა შვილები საშინელი კივილით დაეკონენ მომაკვდავს. ქოხი ზრიალებდა მათი მწუხარებისაგან, მაგრამ ჭაბუკი ხმას არ იღებდა. იგი გველის შხამისგან გაშავდა.

ცოცხალი შიშველ-ტიტველიც ივლის, მაგრამ მკვდარს სუდარა სჭირდება, ეს სუდარა კი სრულიად ახალი ნაჭრისა უნდა იყოს. რაც წვრილმანი ნივთი, ან ბრინჯაოს სამკაული გააჩნდათ, გაყიდეს. ფულისა და სანოვაგის უკანასკნელი მარაგიც დამარხვასა და მღვდელმსახურებას მოხმარდა. ოჯახის მარჩენალი კი მიწას მიაბარეს.

მეორე დილით დაობლებულმა ბალღებმა ტირილი მორთეს — პური გვშიაო. ბებერმა თითო ნაჭერი ნესვით დააშოშმინა პატარები, მაგრამ რძალს ხომ ნესვით ველარ დააწყნარებდა: ის ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი. და აი ახლა, როცა ოჯახში მამაკაცი აღარ ჰყავდათ, ერთი გროშის სესხებაც კი აღარავინ მოისურვა, ბებერმა ცრემლები შეიმშრალა, ჯერ კიდევ შვილის მოკრეფილი ნესვები კალათაში ჩაალაგა და ბაზრისაკენ გასწია. სხვა რაღა გზა ჰქონდა!

მართალია, მან მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა რომ ბაზარში წასულიყო, მაგრამ როცა იქ აუარება ხალხი დაინახა, ამას ველარ გაუძლო, თავი მუხლებში ჩარგო და გულსაკლავად ატირდა: გუშინ, მხოლოდ გუშინ დამარხა შვილი და ეს კი დღესვე გამოსულა ბაზარში სავაჭროდ. განა ქვა არ უნდა სდებოდა გულის მაგივრად?

მინდოდა ჩავწვდომოდი მის ვაებას, შემედარებინა ის ჩემს მეზობლად მცხოვრებ სხვა დედასთან, რომელმაც მასავით შვილი დაჰკარგა — ჯერ კიდევ გასულ ზამთარს, და ამ ამბით იმდენად ზარდაცემული იყო, რომ სამი თვის განმავლობაში ლოგინიდან არ წამომდგარა. სამი თვის მანძილზე თვალზე ცრემლი არ შეშრობია. ორი ექიმი გამუდმებით დარაჯობდა მის სასთუმალს და მთელი ქალაქი ღრმად თანაუგრძნობდა უბედური დედის მწუხარებას.

როგორც ცნობილია, აღელვებული და ნერვებაშლილი ადამიანი ნაბიჯს უჩქარებს. მეც ჩქარი და არეული ნაბიჯით გამოვწიე შინ. და გზადაგზა არ მასვენებდა ის მწარე ფიქრი, რომ თურმე გლოვასაც სახსრები სჭირდება, რომ გლოვის უფლებაც კი რჩეულთა უპირატესობა ყოფილა.

თარგმნა **ნ. ხომერიკმა**

# საჰაერო არქეოლოგია

პურის ყანაში გავლისას ყველა შეამჩნევს, რომ თავთავებს არათანაბარი სიმაღლე აქვთ — რამდენიმე სანტიმეტრით მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. გარდა ამისა, ერთ თავთავზე მეტი მარცვალია ხოლმე, მეორეზე — ნაკლები. რა არის ეს? ისეთივე ბუნებრივი განსხვავება ხომ არ არის, როგორიც მსუქანსა და გამხდარს, მაღალსა და დაბალ ადამიანებს შორის? სწორედ ასეა. მაგრამ თუ ყურადღებით დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ერთ ნაკვეთზე მცენარეები, საერთოდ, უფრო მაღალია, ვიდრე მეზობელ ნაკვეთზე. ან უფრო „ცოცხალია“, ანდა ოდნავ გვერდზე გადაზნექილ მდგომარეობაში იზრდებიან, როდესაც იქვე, მეზობლად ამოსულ მცენარეებს შვეული მიმართულება აქვთ.

ეს უმნიშვნელო განსხვავებანი არასოდეს არ მიიპყრობდა აგრონომის ყურადღებას, რადგან ისინი არც ბიოლოგიური შემთხვევითობით განისაზღვრებიან და არც ნიადაგის შემთხვევითი თავისებურებით; ისინი არასოდეს არ გახდებოდნენ შესწავლის ობიექტები, რომ ერთხელ თვითმფრინავიდან გადაღებულ ფოტოგრაფიულ სურათებს განცვიფრებაში არ მოეყვანა მნახველი. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ რამდენიმე ასეული მეტრის სიმაღლიდან მცენარის ღეროთა სიმაღლის განსხვავება შეუმჩნეველი დაგვრჩებოდა, ხოლო პურის ყანა ერთფეროვან ხალიჩად მოგვეჩვენებოდა. უმრავლეს შემთხვევაში ასეც არის, მაგრამ თვითმფრინავიდან გადაღებულმა სურათებმა ზოგიერთ ადგილზე სულ სხვა რამ „აღმოაჩინეს“: მინდორი გადაკვეთილი იყო მუქი ხაზებით, რომლებიც მცენარეთა ზრდის სხვადასხვა ინტენსივობაზე მიუთითებდნენ.

ეს სურათი წარსულის გეოგრაფიულ რუკას წარმოადგენს. 4-5 ათასი წლის წინათ ნეოლითური ეპოქის ადამიანები მიცვალებულთა საფლავებზე ქვისა და მიწისაგან ყორღანებს დგამდნენ. უმეტესობა მათგანი ასეული წლების წინათ გაქრა, მიწასთან გასწორდა და არავითარი კვალი არ დარჩა მათი ადგილმდებარეობისა. ეს ამბავი ძალზე აწუხებთ არქეოლოგებს, რომლებიც უძველესი სამარხების გათხრისას საინტერესო ნივთებს პოულობენ ხოლმე. თვითმფრინავიდან გადაღებულ ფოტოსურათზე კი ყორღანის კონტურები ისევე ნათლად ჩანს, როგორც რომელიმე სოფლის ადგილმდებარეობა. საქმე იმაშია, რომ უძველესი დროის ადამიანები მომავალი სამარხის გარშემო თხრიდნენ ორმოს, რომელიც მას შემდეგ მიწითა და დამპალი მცენარეებით ამოივსო. პურის თავთავების სიმაღლე, სისქე, მარცვლების რაოდენობა კი დამოკიდებულია შავმიწა ნიადაგის ფენის სისქეზე, პური — ამოსული იმ მიწაზე, რომლითაც ამოვსებულია უძველეს დროს გათხრილი ორმოები, უფრო ხშირი და მაღალია, ვიდრე მეზობელ ნაკვეთებზე. თვითმფრინავიდან გადაღებულ ფოტოსურათებზე ეს თავთავები გამოირჩევა მუქი წრის სახით და ზუსტად უჩვენებს გამქრალი ყორღანის კონტურებს.

აეროფოტოგადაღების დახმარებით მესოპოტამიაში აღმოაჩინეს მივიწყებული ისტორიული ქალაქები, ქვიშით დაფარული სარწყავი არხები, ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე აღმოჩენილი იქნა ცნობილი ფინიკური ქალაქის ტირის ნანგრევები; სირიაში კი ძველი რომაული გამაგრებული ხაზი. ასეთი დოკუმენტების საშუალებით მკვლევარებს შეუძლიათ მაშინვე დაიწყონ გათხრები, აღარ დასჭირდებათ სამარხების წლობით ძებნა.

ხაზი, რომელიც მიწების გაყოფისას გაიყვანა რომაელმა მიწისმზომელმა, ახლაც მოჩანს და ხანდახან ეს ხაზი ახლაც ემთხვევა აპულიაში მცხოვრები ორი გლეხის ეზოთა საზღვარს. აეროფოტოგადაღება რომ არ ყოფილიყო, ამას ჩვენ ვერ გავიგებდით.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ძიება წარმოებდა უზბეკეთის სსრ ტერიტორიაზე. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გამდიდრდა ჩვენი ცნობები ძველი ხვარაზმის სამეფოს შესახებ.

აეროფოტოგადაღებით შესაძლებელი ხდება ძველი გზების აღმოჩენაც. ევროპასა და აფრიკასთან დამაკავშირებელი, რომიდან მიმავალი გზები ზოგ ადგილზე აქამდე არ იყო აღმოჩენილი. ახლა კი დათესილი მინდვრების ქვეშ ნაპოვნი იქნა გზები და მის ორივე მხარეზე გაყოლებული ძველი კიუვეტები.

დამუშავებულ მინდორთა ზედაპირის სისტემატურმა შესწავლამ სამეცნიერო კვლევის ახალი დარგი — აგრარული არქეოლოგია — წარმოშვა.

აქედან ის დასკვნა კი არ უნდა გავაკეთოთ, რომ 2-3 ათასწლიან წარსულის შესასწავლად საკმარისია სურათი გადაიღო თვითმფრინავიდან. უპირველეს ყოვლისა, კარგი შედეგების მისაღწევად საჭიროა განსაკუთრებული ტიპის ადგილმდებარეობის ფოტოგრაფია, მაგალითად უდაბნო ადგილებისა, ანდა მარცვლეულით მოთესილი მინდვრებისა. თუ მინდორს ივნისში გადავიღებთ, როდესაც ხორბალი სიმწიფეში შედის, შეიძლება მივიღოთ რომაული ვილის უმცირესი წვრილმანების მოხაზულობაც კი, თუ იგივე ადგილის სურათს გადავიღებთ ხვნის დროს, ამას არავითარი შედეგი არ მოჰყვება. ხორბლით დათესილი მინდვრის გადაღება ყველაზე კარგ შედეგებს იძლევა; ლიუცერნით, ან კარტოფილით დათესილ მინდვრებს კი, წლის დროის მიუხედავად, არავითარი სარგებლობა არ მოაქვს არქეოლოგისათვის. მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ამინდს — მოწმენდილი იქნება ცა, თუ მოღრუბლული, და გადაღების დროს — დილა იქნება, შუადღე, თუ საღამო. მაგალითად, თუ უდაბნო ადგილს გადავიღებთ შვეული სინათლის დროს, სურათზე ვერაფერს ვერ გამოარჩევთ. თუ იგივე ადგილს გადავიღებთ მზის ჩასვლისას, მაშინ ჩრდილის ხაზები მიგვითითებენ მიწაში დამარხული ქალაქის კედლებზე.

საჰაერო არქეოლოგიამ თავის აქტივში უკვე ჩასწერა მნიშვნელოვანი აღმოჩენები — ამერიკის ტყეებში ჩაკარგული მკვდარი ქალაქებიდან დაწყებული რომაული ბანაკებით გათავებული. საჰაერო არქეოლოგიის წინაშე კიდევ უფრო ბრწყინვალე მომავალი ისახება. ის იყენებს ფოტოგრაფიის ტექნიკის განუწყვეტელ განვითარებას. ულტრაიისფერ ან ულტრაწითელ სხივებისადმი მგრძნობიარე ფოტო ფირებზე მიღებულმა სურათებმა შეიძლება ისეთი აღმოჩენებით გაამდიდრონ მეცნიერება, რომლებიც ჩვენ აზრადაც არ მოგვდის.

**(ჟურნალიდან: „ვ ზაშჩიტუ მირა“ 1954. № 40)**

# ოქტომბრის სახელობის რკინიგზა

მოძებნეთ რუკაზე რკინიგზის ხაზი, რომელიც მოსკოვსა და ლენინგრადს აერთებს. ეს დიდი ოქტომბრის სახელობის რკინიგზაა. იგი მიემართება პირდაპირი, სწორი ხაზით, თითქოს სახაზავს მიჰყვებაო. მოსკოვიდან ლენინგრადში თვითმფრინავით რომ გადაფრინდეთ, მიწაზე გაყვანილ გზასთან შედარებით მანძილი მხოლოდ 6-7 კილომეტრით შემოკლდება. ასეთი სწორი რკინიგზები ძალზე ცოტაა. ოქტომბრის სახელობის რკინიგზა არავითარ დაბრკოლებას არ უვლის გვერდს: ყველა მაღლობი გაჭრილია, ყველა დაბლობი მიწით არის მოსწორებული. მდინარეებზე 190-მდე ხიდია გადებული, ამ გზაზე 250 ხელოვნური ნაგებობაა აშენებული: ხიდები, მიწაყრილები, კიუვეტები, და ყველაფერი ეს იმისათვის გაკეთდა, რომ გზა „არსად გამრუდებულიყო“.

ამბობენ, ამის მიზეზი სახაზავიაო. გზის მშენებლობა 1836 წელს დაიწყო და 1851 წლის ნოემბერში დამთავრდა. ტრასის ძიება თითქოს ნელა მიმდინარეობდა. მაშინ მეფე ნიკოლოზ I დაეკითხა თავის მინისტრებს, თუ რატომ აგვიანებდნენ გზის მშენებლობის დაწყებას. მინისტრებმა უპასუხეს:

— ვერ შეარჩიეს გზა, რომელზეც რელსები უნდა დააგონ.

— როგორ თუ ვერ შეარჩიეს? — აღშფოთდა მეფე, — მომეცით აქ რუკა! სად არის მოსკოვი? სად არის პეტერბურგი?

დასდო მეფემ სახაზავი და რუკაზე ხაზი გაავლო, სწორედ მოსკოვსა და პეტერბურგს შორის.

— აი, აქ, — თქვა მან, — აქ გაიყვანეთ.

იმასაც კი ამბობენ, რომ ქალაქ ტვერის (ახლანდელი კალინინი) მახლობლად, რუკაზე, მეფის ფანქარი მისსავე თითს გამოედო, და თურმე ამ ქალაქთან რკინიგზა იმიტომ უხვევს ოდნავ.

მაგრამ ყველაფერი, რასაც ამ ასი წლის განმავლობაში ჰყვებოდნენ მეფის სახაზავის შესახებ, მოგონილია, ანეგდოტია; ეს მხოლოდ მათ სჯეროდათ, ვინც არ იცოდა, როგორ შენდება რკინიგზები. სინამდვილეში მოსკოვ-პეტერბურგის რკინიგზის მშენებლები წააწყდნენ ტყეში გაკაფულ გზას, ეს გზა პეტრე I დროს იყო გაყვანილი. მაშინ შენდებოდა ქალაქი პეტერბურგი, მოსკოვიდან კი ამ მშენებლობისათვის უამრავ საშენ მასალას ეზიდებოდნენ ცხენებით. მაგრამ პირუტყვებისათვისაც ხომ საჭირო იყო გზის გაყვანა? აი, ამ მოკლე და სახაზავივით სწორ გზაზე გაიყვანეს მაშინდელმა მშენებლებმა მომავალი რკინიგზის ტრასა.

## „დროშის“ № 10-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი:

**ჰორიზონტალურად:**

4. გალილეი. 7. აკრომეგალია. 12. კახექსია. 14. სპარტაკი. 15. საკო. 16. აეროლოგია. 17. მზია. 19. კოტკასი. 20. კანტატა. 22. აბრა. 24. ავანტიურა. 26. ლავა. 28. აკვილონი. 29. აგრეგატი. 30. ასპირანტურა. 33. არბიტრი.

**ვერტიკალურად:**

1. კამო. 2. ლივერპული. 3. სენა. 5. აკოსტა. 6. ტირანა. 8. ფაზა. 9. მესოპოტამია. 10. სტომატოლოგი. 11. აკრი. 13. აეროსტატი. 14. სიგნატურა. 15. სერია. 18. ანაპა. 21. ატესტაცია. 23. ბუკი. 24. ანონსი. 25. ავრორა. 27. ვატი. 31. იორი. 32. ტური.

გარეკანის პირველ გვერდზე: 26 კომისრის სახელობის თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის მჭედელი ვასილ კორძაძე, რომელმაც საოქტომბრო ვალდებულება 510%-ით შეასრულა.

ფერადი ფოტო გ. გოგიჩაშვილისა

მეოთხე გვერდზე: გაგრა. ზღვის სანაპირო.

ფერადი ფოტო გ. გოგიჩაშვილისა

# კროსვორდი



**ჰორიზონტალურად:**

7. ვაჟა-ფშაველას პოემის გმირი, 8. ფრინველი გრიგალას რაზმიდან, 9. ზოგიერთ სახელმწიფოს უმაღლესი ორგანო, 10. საბჭოთა ვეშაპთმხოცი ფლოტილია, 11. გარეული ცხოველი, 12. აღმოსავლური მუსიკალური ინსტრუმენტი, 13. ირმის ჩვილი რქა, რომელიც გამოიყენება მედიცინაში, 14. ნაგებობა თვითმფრინავებისათვის, 17. მდინარე საქართველოში, 19. ჟანგბადის მავნე მოქმედება ლითონებზე, 24. სრუტე, 25. მთა ჩეხოსლოვაკიაში, 27. ქართული სიმღერა, 28. განტოტება მდინარის შესართავთან, 29. კავშირგაბმულობის საშუალება, 33. ცივი იარაღი, 34. უბანი თბილისში, 35. დიდ დისტანციაზე მორბენალი, 37. ყურძნის ჯიში, 41. სახელმწიფო ევროპაში, 43. მაღლობი სსრკ-ს ევროპულ ნაწილში, 44. საომარი მასალა, 45. კუთხე საქართველოში, 46. ლეგენდარული კრეისერი, 47. კურორტი საქართველოში, 48. ნიშნები საიდუმლო მიმოწერისათვის, 49. ქიმიური ელემენტი, 50. რუსი მფრინავი, რომელმაც პირველად გააკეთა „მკვდარი მარყუჟი“.

**ვერტიკალურად:**

1. კუნძული ინდოეთის ოკეანეში, 2. ტაჯიკი პოეტი, 3. ცნობილი საბჭოთა მეცნიერი, ბიოლოგი, 4. მსოფლიოს უღრმესი ტბა, 5. ქართული ცეკვა, 6. სახელმწიფო აღმოსავლეთში ძველად, 15. ქალაქი უკრაინაში, 16. შავი ზღვის ძველი სახელი, 18. ხილი, 20. ჩეხი კომპოზიტორი, 21. ქვანახშირის აუზი პოლონეთში, 22. ვარსკვლავი, 23. ი. ნიკოლაძის ქანდაკება, 25. წარწერა კინო ეკრანზე, 26. ხალხში განმტკიცებული ჩვეულება, 30. თამაში, 31. ნაგებობა პირუტყვისათვის, 32. ხერხი ქართულ ჭიდაობაში, 36. გიგანტური ჯიშის ხე, 38. ქართველი საბჭოთა მეცნიერი, 39. რუსი მხატვარი, 40. ქართველი მწერალი, 42. მარცხი, უბედური შემთხვევა, 43. ნივთიერება გამოყენებული ელექტროტექნიკაში ზეძაბვის საწინააღმდეგოდ.

## ლოთების ფიზკულტურა

ნახატი გ. ფირცხალავასი



წინმკლავი · ზემკლავი · განმკლავი · ხელმკლავი

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. საკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ., № 91. ტელ. 3-95-38

ფასი 3 მან.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/XI-54 წ. გამომც. № 286 ქაღ. ზომა 70×108¹/₈. ნაბეჭდი ფურც 3¹/₂ ტირაჟი — 15.000 შეკვეთის № 752 უე 14681

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а“ (на грузинском языке)

პეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.



ინდოელი სტუმრები დიღმის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო ვ. ჯეირანოვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. 25/129



ეროვნული
ბიბლიოთეკა